ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სოციოლოგიური კვლევა თვითმმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი

საზოგადოება „ბილიკი“

ანალიზურ მეცნიერებათა და ანალიტიკოსთა ასოციაცია

KONRAD ADENAUER STIFTUNG

CSI

CSRDG

ctc Empowering People for Change

EDEC

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG

სოციოლოგიური კვლევა შექმნილია ორგანიზაციის "ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება" მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

წინამდებარე კვლევის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია ორგანიზაცია "ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება" და ეს არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI
CSRDG
CTC Empowering People for Change
EDEC

სოციოლოგიური კვლევა

თვითმმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი

კვლევის ხელმძღვანელი:	**სოსო მეზვრიშვილი**
კვლევის ექსპერტი:	**შორენა კორტავა**
კვლევის ანგარიშის ავტორი:	**სოსო მეზვრიშვილი**
სამეცნიერო რედაქტორი:	**შორენა კორტავა**

გამომცემლობა **„უნივერსალი", 2018**

თბილისი, 0179, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-334-7

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

სარჩევი

შესავალი 4
არსებული სიტუაციის მიმოხილვა 8
კვლევის საჭიროების დასაბუთება 10
საკვლევი კითხვები 12
საკვლევი კითხვარები 13
ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმის სტრუქტურა 13
რაოდენობრივი კვლევის კითხვარი 14
სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარის სტრუქტურა 18
კვლევის დიზაინი 20
კვლევის შედეგები 23
- ფოკუს კვლევის ანალიზი 25
- რაოდენობრივი კვლევის ანალიზი 34
- ფაქტორული ანალიზი 41
- სიღრმისეული კვლევის ანალიზი 47
- კვლევების შეჯამება 55

შედარებითი ანალიზი 57
კვლევის ვალიდობა 60
გამოყენებულ ტერმინთა განმარტება 62
გამოყენებული ლიტერატურა 62
დანართი №1 63

შესავალი

წინამდებარე კვლევა ჩატარდა ქ.გორის მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტში, 2017 წელს თვითმართველობის კოდექსში შესული ცვლილებებით, იგულისხმება რაიონული ცენტრი და მისი საკრებულოები, ამ შემთხვევაში ქ.გორი და მისი რაიონები)[1], 2018 წლის მარტი–აპრილის თვეში. კვლევა ეხება თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგს, რაც საქართველოს თვითმართველობის კოდექსით[2] და ევროკავშირთან ასოცირების დოკუმენტით[3] არის ნაკისრი ვალდებულება. საზოგადოებასთან სიახლოვე არის ზოგადი თემა, შესაბამისად კვლევისას გათვალისწინებული იქნება მისი ზოგადობა და დავიწროვდება სამ ძირითად სახეზე – ჩართულობის, ინფორმირებულობის და მონაწილეობის კუთხით. განვმარტოთ თვითოეული მათგანი თანმიმდევრულად.

ინფორმირებულობის ვალდებულება. თვითმართველობას (საჯარო სამმართველოს იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს რაიონული ერთეული მერიას და საკრებულოს) საკუთარი რაიონული ცენტრის საზღვრებში ეკისრება ვალდებულება მოსახლეობის ინფორმირებულობის, ინფორმაციის პროაქტიულად (დაუყოვნებლივ) გავრცელების, რასაც ავალდებულებს მას საქართველოს მოქმედი კანონი თვითმართველობის შესახებ[4]; ასევე ღია მმართველობის დანერგვის რეფორმით (OGP) ნაკისრი ვალდებულება[5]. ინფორმაცია მოსახლეობას უნდა მიეწოდებოდეს როგორც თვითმართველობის ორგანოებში მიმდინარე საქმიანობებზე, იგულისხმება მერიისა და საკრებულოს სხდომები, განხორციელებული პროექტების ანგარიშები და ა.შ. ასევე დაგეგმილი პროექტების, ღონისძიებების, სიახლეებისა და პროექტების შესახებ, რომელიც განხორციელდება მუნიციპალიტეტის საზღვრებში.

ჩართულობის ვალდებულება გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის ზრდას თვითმართველობის საქმიანობაში. ჩართულობაში

[1] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429 თავი I, მუხლი 2–3
[2] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429 თავი XI
[3] ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება, თავი 21, 2016 წელი.
[4] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429, თავი XI, 2017წ.
[5] ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP)

იგულისხმება თუნდაც ინფორმაციის გაცემისას მონაწილეთა ჩართვა მიმდინარე შეხვედრაზე, ჩართვა საკრებულოსა და მერიის სხდომებში, ჩართვა რაიმე სახით მუნიციპალიტეტში მიმდინარე ნებისმიერი სახის შეხვედრასა თუ პროექტში.

მონაწილეობის ვალდებულებას რაც შეეხება, აქ უშუალოდ მონაწილეობის მიღებაზეა საუბარი და არა მხოლოდ ჩართულობაზე, რადგან შესაძლოა პირი იყოს ჩართული სხდომებზე, დასწრების კუთხით, მაგრამ არ იღებდს მონაწილეობას მასში და იყოს მხოლოდ დამსწრის სტატუსით, მაგრამ მას აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ამ სხდომაშიც და მისთვის საჭირო საკითხზე სამსჯელოთ წარმართოს საკრებულოს სხდომა. მიიღოს მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგემვის, მისი სხვადასხვა სერვისების გაუმჯობესების, ადვოკატირების კამპანიის საშუალებით ან სხვა კანონით განსაზღვრული ფორმის მეშვეობით, იგულისხმება დასახლების საერთო კრება, მრჩეველთა საბჭო და სხვა.[6]

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული იქნა რეგიონალური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი 2014-2021 წლების.[7] რაც გულისხმობს რეგიონების განვითარებას ტურისტული, ინფრასტრუქტურული, სოფლის მეურნეობისა და სხვა მიმართულებიბით. საგულისხმოა, რომ დოკუმენტის წარმატება მთლიანად დაფუძნებული და დამყარებულია მოსახლეობის ჩართულობის, ინფორმირებულობასა და მონაწილეობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ შემუშავებული სტრატეგია სწორედ მოსახლეობისთვის არის შექმნილი და უშუალოდ უნდა იყვნენ ჩართულნი და ღებულობდნენ მონაწილეობას იმ პროექტებში, რაც აქვს გაწერილი საქართველოს მთავრობას. აღსანიშნავია ასევე გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტის ეფექტურად განხორციელებაში უნდა იყოს აქტიურად ჩართული თვითმართველობა, რადგან ის არის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ორგანო რეგიონალური მმართველობის სისტემაში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქ.გორის მუნიციპალიტეტის თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი, სამი ინდიკატორის საშუალებით, მოქალაქეთა ჩართულობის, ინფორმირებუ-

[6] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429, თავი XI, მუხლი 85, 2017წ.
[7] საქართველოს რეგიონალური განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის.

ლობისა და მონაწილეობით. ასევე, მეორე მიზანს წარმოადგენს 2014–2021 წლების სტრატეგიული განვითარების დოკუემნტის შესრულების მონიტორინგი, რაც არის (უნდა იყოს) მნიშვნელოვანი ხელისშემწყობი დამატებითი ინდიკატორი, მოქალაქეთა სიახლოვის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაშიც შეფასდება სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, ზემოთ ხსენებული ინდიკატორების საშუალებით, მასში ჩართული ბენეფიციარების მიერ.

კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ქ.გორის მუნიციპა-ლიტეტში მცხოვრები ყველა სრულწლოვანი მოქალაქე, სამიზნე აუდიტორია დაიყოფა ორ პირობით ჯგუფად. ერთი ჯგუფი იქნება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც სარგებლობს საქართველოს სტრატეგიული განვითა-რების 2014–2021 წლების პროგრამებით, ანუ ჩართულია პროგრამებში და ახორციელებს/უძღვება რომელიმე სფეროში არსებულ პროექტს. მეორე ჯგუფი იქნება მთლიანი საზოგადოება გორის მუნიციპალიტეტისა, სადაც ყველა მოქალაქეს ექნება თანაბარი შანსი კვლევაში მონაწილეობის მიღების.

თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი დაფინანსებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარე-ბის ცენტრის მიერ, პორექტს კი ახორციელებს საზოგადოება ,,ბილიკი"– და ,,ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანების" ურთიერთ-თანამშრომლობით. პროექტი დაწყო 2017 წლის 28 დეკემბერს და დასრულდა 2018 წლის სექტემბრის თვეში, იგი შედგებოდა ორი ეტაპისაგან. პირველი ეტაპი მოიცავდა გორის მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის შესწავლას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა–დამუშავების საშუალებითა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შედეგად, ხოლო მეორე ეტაპი მოიცავს გამოვლენილი პრობლემებიდან რამდენიმე საკითხზე ადვოკატი-რების კამპანიის წარმართვას თვითმართველობასთან. აღსანიშნავია რომ თვითართველობის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობდნენ კონსოციუმთან პროექტის განხორციელების პროცესში და ადვოკატირების კამპანიის შედეგად გამოვლენილ საკითხებზე მოახდინეს სათანადო რეგირება და აღმოფხვრეს არსებული პრობლემა შესაბამის სფეროში.

წინამდებარე კვლევა გახლავთ გამოყენებითი ხასიათის და იგი გათვლილია თემით დაინტერესებული პიროვნებებისათვის – საქართველოს

თვითმართველობის უწყებაში დასაქმებული პირებისათვის, ასევე თვით-მართველობასთან სიახლოვით დაინტერესებული მოქალაქეებითვის, სამოქალაქო სექტორისა და თვითმართველობის მოდელზე მომუშავე ექს-პერტებისთვის. კვლევის შედეგები გამოსადეგია ევროკავშირის ასოცი-რებით და საქართველოს კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულებების, ასევე 2014-2021 წლების სტარეგიული განვიტარების დოკუმენტის შესრულების მონიტორინგისთვის გორის მუნიციპალიტეტში, თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მხრივ. კვლევის დოკუმენტი წარმოადგენს სამაგიდო სახელმძღვანელოს თვითმართველობის თემით დაინტერესე-ბული პირებისათვის.

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის საყოველთაო აღწერების[8] შედეგად შეადგენს 77 549 ადამიანს. გორის მუნიციპალიტეტი, 2014 წლის თვითმართველობის რეფორმის შედეგად გამოეყო რაიონებს და გახდა თვითმართველი ქალაქი, ხოლო 2017 წლის ხელახალი რეფორმის შედეგად მას ჩამოერთვა თვითმართველი ქალაქის სტატუსი და მუნიციპალიტეტში გაერთიანდა გორის სოფლებიც, ხოლო მმართველ ორგანოს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერია.

გორის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების, ასევე ეკონომიკური თუ ტურისტული კუთხით. საკმაოდ მძლავრად არის განვითარებული სხვადასხვა საწარმო მიმართულებები, თუმცა ძირითადად გამოირჩევა მებაღეობა (მეხილეობა), მეთევზეობა, მეცხოველეობა და მეფრინველეობა. შექმნილია რამდენიმე მძლავრი საწარმო, რომელიც ზემოთ ხსენებულ საწარმო კულტურებს ამუშავებს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში სამასზე მეტი ინდივიდუალური მეწარმეა რეგისტრირებული და მათი ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობის კუთხით არის დასაქმებული. ამჟამად გორის მუნიციპალიტეტი არის განვითარებადი მუნიციპალიტეტი ტურიზმის მხრივ და მისი ვიზიტორთა რიცხვი ყოველწიურად იზრდება.

გორის მუნიციპალიტეტში საკმაოდ მაღალია სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და თავად თვითმართველობაც არის მათთან კომუნიკაციაში ჩართული, რასაც მათთან ორმხრივი თანამშრომლობა მოწმობს. მუნიციპალიტეტისათვის კვლევების ჩატარება არ არის უცხო და უყურადღებოდაც არ დარჩენილა. აღნიშნულ მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის კვლევები: 2016 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტების კვლევა[9], ასევე ანალოგიური კვლევა განხორციელდა 2017-2018 წლის ბიუჯეტების დასაგეგმად[10], ასევე 2016

[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://census.ge/ge/results/census

[9] ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება 2015წ. გორის მუნიციპალიტეტის მერია 2015წ.

[10] ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება 2016წ. გორის მუნიციპალიტეტის მერია 2016წ.

წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის on-line სივრცეში მუშაობის მონიტორინგი და შეფასება[11], ამავე წელს ჩატარდა საჭიროებების მონაწილეობითი ანალიზი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ[12] და სხვა. ჩატარებული კვლევები ყოველთვის ავლენდნენ მუნიციპალიტეტში არსებულ ხარვეზებსა თუ მიღწევებს, თუმცა ყოველ კვლევაში ნათლად იკვეთებოდა საზოგადოებასთან სიახლოვის ნაკლებობა, რაც იწვევდა მოსახლეობის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას თვითმართველობისადმი და მასში მონაწილეობაში. ეს ყოველივე კი მნიშვნელოვნად აფერხებს დემოკრატიული მმართველობის განვითარებას როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე სახელმწიფოშიც. საზოგადოების ჩართულობა თვითმართველობაში არის საქართველოს თვითმართველობის კოდექსით გარანტირებული უფლება მოქალაქისა, ხოლო თვითმართველბისათვის ვალდებულება.[13] ზემოთ აღნიშნულს საქართველოს ხელისუფლებასა და თვითმართველობას ასევე ავალდებულებს 2016 წელს გაფორმებული ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება[14].

თვითმართველობაში ჩატარებული კვლევების შედეგად ყოველთვის ეწყობოდა კვლევის შედეგების განხილვა და პრეზენტაციების მოწყობა, როგორც საჯარო სამსახურის თანამშრომლებთან, ასევე საზოგადოების წარმომადგენელ დაინტერესებულ პირებთან. თვითმართველობა იღებდა რეკომენდაციებს და პრობლემის აღმოფხვრის ხედვას კვლევის ანგარიშის საშუალებით და ცდილობს ასახოს საკუთარ მუშაობაში მიწოდებული რეკომენდაციები. აღნიშნული დასტურდება სწორედ იმით, რომ მუნიციპალიტეტმა დაიწყო სოციალური ქსელების აქტიურად გამოყენება ინფორმაციის გავრცელების კუთხით და რეგულარულად ათავსებს ყველა სიახლეს სოციალურ ქსელში, ასევე დანერგეს ყოველკვიეული live stream-ი, სადაც ერთი საათის განმავლობაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია პირდაპირ ეთერში დაუსვას შეკითხვა მუნიციპალიტეტის მერს,

---

[11] კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი 2016წ.
საზოგადოება ბილიკი 2016წ.
ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება 2016წ.

[12] მეგობრობის ხიდი ,,ქართლოსი"

[13] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429 – თავი XI

[14] ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება, თავი 21-ე.

დაიხვეწა და უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ–საიტი და ა.შ.

გასულ წლებში ჩატარებული კვლევები, ნათლად გვანახებენ მუნიციპალტეტში საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით არსებულ მდგომარეობას. 2015–2017 წლებში ყოველწელს ჩატარებულ ფოკუს კვლევებზე აღნიშნული საკითხი ,,პირველ ადგილზე" იდგა და ყოველთვის მწვავე სადისკუსიო საკითხს წარმოადგენდა ინტერვიუს მიმდინარეობისას, ხოლო მიწოდებულ რეკომენდაციებში ძირითადად სწორედ ამ საკითხის გაუმჯობესებაზე იყო საუბარი, როგორც ფიზიკური სიახლოვის, ასევე მედია საშუალებების გამოყენებით სიახლოვეზე. რაოდენობრივი კვლევების შედეგადაც ანალოგიური სიტუაცია იყო ქალაქში და მოსახლეობას ჰქონდა სურვილი მეტი ფიზიკური სიახლოვე ჰქონოდათ თვითმართველობის წარმომადგენლებთან. თავად მისულიყვნენ საჯარო უწყების წარმომადგენლები მოსახლეობასთან შეხვედრებზე და უშუალოდ ენახათ/მოესმინათ არსებული პრობლემები. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გორის მუნიციპალიტეტის თვითმართველობა მუდმივად ცდილობდა მიღებული კვლევის შედეგები გამოეყენებინა სიახლოვის გასაუმჯობესებლად მოსახლეობასთან და ამ მხრივ შექმნეს რამოდენიმე სტრატეგია, რაზეც ასევე ზემოთ გვქონდა საუბარი. აქედან გამომდინარე ჩატარებულმა კვლევებმა 2018 წელს შედარებით უკეთესი მაჩვენებელი მოგვცა, საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით და თითქმის გაორმაგებულია პროცენტული მაჩვენებელი, ამაზე კი დაწვრილებით კვლევის ანალიზში ვისაუბრებთ.

კვლევის საჭიროების დასაბუთება

2017 წლის ხელახალი თვითმართველობის რეფორმის შედეგად განხორციელდა ცვლილებები და ის ,,პრივილეგიები" რაც გორის მუნიციპალიტეტს 2014 წლის თვითმართველობის რეფორმის შედეგად მიენიჭა ჩამოერთვა და შეიცვალა. საინტერესო სიტუაცია შეიქმნა ამ მხრივ, მნიშვნელოვანი გახდა საზოგადოებაში არსებული სიტუაციის შესწავლა იმ ძირითადი პრობლემის გარშემო რაც არსებობდა მუნიციპალიტეტში. აქ

იგულისხმება არსებულ ძირეულ პრობლემებზე არსებული სიტუაციის შესწავლა, ძველი და ახალი რეფორმის შედეგების შედარება ერთმანეთისათვის, რათქმაუნდა ეს საკმაოდ რთული პროცესი იყო, რადგან კვლევის განხორციელებისას მხოლოდ ექვსი თვე იყო ახალ რეფორმაზე გადასვლიდან, თუმცა მომავალი კვლევებისთვის საკმაოდ მდიდარი ცოდნა დაგროვდა საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით. მიუხედავად მრავალი ძირეული პრობლემისა, რთული იყო ყველა საკითხის შესწავლა, ამიტომ შეირჩა თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მხრივ სიტუაციის შესწავლა–მონიტორინგი, რადგან ამ მხრივ თვითმართველობა დავალდებულებულია როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე ევროკავშირის მიერ და მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულება იყო კარგად განვითარებული. საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი არის საკითხი რომელიც მნიშვნელოვანია ყველა სფეროსა თუ მიმართულებაში, რაც თავისთავად პირდაპირ თუ ირიბად კავშირშია 2014–2021 წლების სტრატეგიული განვითარების დოკუმენტთან, რადგან თუ სურს ხელისუფლებას რომ ეს დოკუმენტი იყოს ,,მუშა“ და ეფექტურად ხორციელდებოდეს დასახული სტრატეგიები საჭიროა სიახლოვე საზოგადოებასთან, მათი ჩართულობა, ინფორმირებულობა და მონაწილეობა. სწორედ ამ მიზნით შეირჩა კვლევისთვის თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი, რათა საბაზისო დონეზე შეგვესწავლა არსებული სიტუაცია 2014 წლის რეფორმით მიმდინარე პროცესებში და შეგვედარებინა 2017 წლის რეფორმის შედეგად დაწყებულ ახალ ფორმირებასთან. ეს კი თავის მხრივ კვლევის შედეგებს მატებს მეტ სიცოცხლისუნარიანობას, რადგან როგორც ცენტრალურმა ხელისუფლებამ განაცხადა 217 წლის რეფორმა არის საპილოტე და შესაძლოა კვლავ შეიცვალოს რამოდენიმე წლის შემდგომ, რაც მოგვცემს საშუალებას მიმდინარე რეფორმების განმავლობაში საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით შედარებების გაკეთებისას და დაგვანახებს უფრო სწორ და ეფექტურ რეფორმას ამ მიმართულებით. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საზოგადოებასთან სიხალოვე არის ის ძირითადი, საწყისი ეტაპი რაც ხელს უწყობს და აუმჯობესებს დემოკრატიულ მმართველობას სახელმწიფოში, მოქალაქეთა ჩართულობას თვითმართველობის საქმიანობაში და სწორედ ეს განაპირობებს ამ საკითხის მნიშვნელოვნებასა და კვლევის საჭიროებას.

საკვლევი კითხვები

კვლევისსას საკვლევი შეკითხვების არსებობა მკვლევარს ეხმარება, მუდმივად ახსოვდეს ის საკითხი, რასაც სწავლობს და რა მიმართულებაზე აკეთებს აქცენტს. რამდენად შეესაბამება არსებული ჰიპოთეზა და კვლევის მიმდინარეობა წინასწარ შედგენილ გეგმას. მნიშვნელოვანია მისი არსებობა კვლევის განმავლობაში ან მის ბოლოს შეფასდეს მიღებული შედეგების სასურველობა და მართებულობა კვლევის მიზანთან, საკვლევ საკითხთან მიმართებაში.

- რა გამოწვევების წინაშე დგას გორის მუნიციპალიტეტის მერია საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით?
- რა შესაძლებლობები გააჩნია გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას თვითმართველობასთან სიახლოვის მხრივ?
- წარმატებულად სრულდება თუ არა ევროკავშირის დოკუმენტითა და საქართველოს კანონით ნაკისრი ვალდებულება?
- 2014-2021 წლების სტრატეგიული განვითარების პროგრამის გამოწვევები და ცნობადობა საზოგადოებაში.

აღნიშნული კვლევის შეკითხვებისთვის ასევე შემოდის კვლევაში საკვლევი ჰიპოთეზები, რაზე დაყრდნობითაც არის შემუშავებული კვლევის კითხვარები და სტრატეგია.

H0: მოსახლეობამ არ იცის თვითმართველობაში მონაწილეობაზე საკუთარი უფლებების შესახებ

H1: ცენტრალური ხელისუფლება სრულად უზრუნველყობს 2014-2021 წლების სტრატეგიული განვითარების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ჩართულობას სამთავრობო პროგრამებში.[15]

H0: ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას ევროკავშირის ასოცირების დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად.[16]

---

[15] გამოყენებულია ალტერნატიული ჰიპოთეზა. H0 ნულოვანი ჰიპოთეზისთვის შემოსულია H1 ალტერნატიული ჰიპოთეზა. ეს ორივე ჰიპოთეზა არსებობს თვისებრივი კვლევით შემოწმებისთვის, რომელიც ტარდება სიღრმისეული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის საშუალებით.

[16] აღნიშნული ნულოვანი ჰიპოთეზა გამოიყენება რაოდენობრივი კვლევისთვის.

საკვლევი კითხვარები

ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმის სტრუქტურა:

1. თუ გქონიათ შეხება ქ.გორის მუნიციპალიტეტის თვითმართველობასთან და რა საკითხთან მიმართებაში გქონიათ შეხება?
2. თუ ყოფილხართ ჩართული რაიმე სახით მუნიციპალიტეტის/ქალაქის მართვაში?
3. თვითმართველობის მიერ ორგანიზებულ რა სახის აქტივობებში/ღონისძიებებში მიგიღიათ მონაწილეობა?
4. თუ იცით რა სახის ფორმები არსებობს თვითმართველობასთან სიახლოვისთვის?
5. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მხრივ თუ გქონიათ რაიმე სახის გამოცდილება?
6. საჯარო ინფორმაციის გაშუქება/გავრცელების მხრივ თუ ყოფილხართ ინფორმირებულები რაიმე საკითხთან მიმართებაში? რა საკითები იყო?
7. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე როგორ შეაფასებდით თვითმართველობის სიახლოვეს საზოგადოებასთან?
   - ინფორმირებულობის კუთხით?
   - საზოგადოების მუნიციპალიტეტის მართვაში ჩართულობის?
   - მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით?
8. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, ის შეცვლას, გაუმჯობესებას ისურვებდით ამ მხრივ? რეკომენდაციები.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარი:

1. **გთხოვთ მითხრათ, თუ ადევნებთ თვალს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს?** (მედიის, რეგიონალური მედიის, ინტერნეტ მედიის ან პიროვნული საუბრების საშუალებით)
   1. დიახ; 2. არა.
2. **ძირითადად რა საშუალებებს იყენებთ ინფორმაციის მისაღებად?** (ეს შეკთხვა დაუსვით იმ შემთხვევაში თუ პირველ შეკითხვაზე გაგვცა დადებითი პასუხი) **(შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი)**

1. რეგიონალური მედიის საშუალებით; 2. ინტერნეტ მედიის საშუალებით;
3. მეგობრების და თანამშრომლების საშუალებით; 4. ოჯახის წევრებისა და მეზობლების საშალებით; 5. არ ვინტერესდები საერთოდ; 77. სხვა _____

2.1 **გთხოვთ მითხრათ, რა სიხშირით იღებთ ინფორმაციას?** (თუ წინა შეკითხვაში დაფიქსირდა კოდი ,,5", გადადი მე-3 შეკითხვაზე)

1. ყოველდრიურად; 3. თვეში რამდენჯერმე;
2. კვირაში რამდენჯერმე; 4. თვეში ერთხელ; 5. წელიწადში რამდენჯერმე.

3. **თუ გსმენიათ თვითმართველობაში თქვენი მონაწილეობის უფლებების შესახებ?**
   1. დიახ; 2. არა.
4. **გთხოვთ მითხრათ რა სახის უფლებებზე გსმენიათ?** (ეს შეკთხვა დაუსვით იმ შემთხვევაში თუ პირველ შეკითხვაზე გაგვცა დადებითი ,,დიახ" პასუხი) **(შემოხაზეთ მაქსიმუმ 5 პასუხი)**

1. საკრეულოს სხდომებზე დასწრება;
2. დასახლების საერთო კრებები;
3. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა;
4. ინიციატივის წარდგენა;
5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
6. ლობისტად რეგისტრაცია;
7. პეტიციის შედგენა/შეტანა;
8. თვითმართველობის ანგარიშის მოსმენა (ღია კარი)

77. სხვა _____ ;

88. არ ვიცი.

5. **თვითმართველობის წარმომადგენლები თუ მოდიან თქვენს თემში/უბანში შეხვედრებზე რეგულარულად, გარდა წინა საარჩევნო კამპანიებისა?**

1. დიახ; 2. არა. 99. უარი პასუხზე

6. **თუ შეგიძლიათ, რომ გაიხსენოთ, თქვენს თემში, გასულ პერიოდში, ზოგადად რა სახის შეხვედრები ყოფილა თვითმართველობის წარმომადგენლებთან? (შემოხაზეთ მაქსიმუმ 5 პასუხი)**

1. ანგარიშების მოსმენა; 5. თანადაფინანსების პროგრამა
6. პეტიციის შეტანა/ხელმოწერა; 9. მრჩეველთა საბჭო;
2. ინიციატივის პრეზენტაცია; 10. არ მახსენდება არაფერი
3. ინიციატივების მოსმენა; 7. ღია კარი; 11. არ ყოფილა შეხვედრა;
4. საჯარო შეხვედრა; 8. დასახლების საერთო; 77. სხვა _____;

6.1. **შეგიძლიათ გაიხსენოთ ის პირი, ან პიროვნებები რომლებიც წარმოადგენდნენ თვითმართველობას?** (ჰკითხეთ იმ შემთხვევაში თუ **მე – 6** შეკითხვაზე გაგვცა დადებითი პასუხი)

_____

7. **პირადად თქვენ თუ მიგიღიათ მონაწილეობა ასეთი სახის რომელიმე შეხვედრაში?**

1. დიახ; 2. არა.

8. **შეგიძლიათ გაიხსენოთ რა საკითხზე იყო ის შეხვედრა, რომელსაც თქვენ დაესწარით?** (ეს შეკითხვა დაუსვით იმ შემთხვევაში თუ **მე – 7** შეკითხვაზე გაგვცა დადებითი პასუხი) **(ჩაწერეთ მაქსიმუმ 3 პასუხი)**

1. დიახ _____ _____ _____; 2. არა.

9. **საჭიროებიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის გამოსათხოვად, მიმართეთ თუ არა რომელიმე თვითმართველ ორგანოს?**

1. დიახ; 2. არა; 99. უარი პასუხზე

9.1. **გთხოვთ გაიხსენოთ, რა სახის საჯარო ინფორმაცია დაგჭირდათ, რაზეც მიმართეთ?** (ეს შეკთხვა დაუსვით იმ შემთხვევაში თუ **მე–9** შეკითხვაზე გაგვცა დადებითი **,,დიახ“** პასუხი)

_____

9.2. რამდენად კმაყოფილი დარჩით მიღებული საჯარო ინფორმაციის ხარისხით?

1. ძალიან კმაყოფილი;
2. კმაყოფილი;
3. არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო;
4. უკმაყოფილო;
5. ძალიან უკმაყოფილო.

99. უარი პასუხზე.

10. თუ გაგჩენიათ როდისმე სურვილი საკრებულოს სხდომაზე ან სხვა სახის შეხვედრებზე დასწრების?

1. დიახ; 2. არა.

11. რამ განაპირობა თქვენი სურვილი საკრებულოს სხდომაზე დასწრების? (ეს შეკითხვა დაუსვით იმ შემთხვევაში თუ მე-10 შეკითხვაზე გაგვცა დადებითი **,,დიახ"** პასუხი)

_____

12. თუ გაქვთ ინფორმაცია, რომ თქვენ გაქვთ საკრებულოს სხდომებსა და სხვა სახის შეხვედრებზე დასწრების უფლება? (წაუკითხეთ: საკრეულოს სხდომა, ღია კარი, პეტიციები, დასახლების საერთო კრებები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სამუშაოს ანგარიშის მოსმენა, თანადაფინანსების პროგრამები)

1. დიახ; 2. არა.

13. ამის შემდგომ რომ გაგიჩნდეთ სურვილი რაიმე საკთხის წინ წამოწევის, ან საკრებულოს სხდომაზე დასწრების, ან რაიმე საკითხის გატანის, გამოიყენებდით თუ არა თქვენს ამ უფლებას?

1. დიახ; 2. არა.

14. გსმენიათ თუ არა მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების შესახებ? (ნებისმიერი პროგრამა; იგულისხმება, სოციალურით დაწყებული, ეკონომიკურით დასრულებული)

1. დიახ; 2. არა.

15. შეგიძლიათ გაიხსენოთ რამოდენიმე პროგრამა? (ეს შეკითხვა დაუსვით იმ შემთხვევაში თუ **მე – 14** შეკითხვაზე გაგვცა დადებითი **,,დიახ"** პასუხი)

_____

15.1. ამ პროგრამების შესახებ ვინ მოგაწოდათ ინფორმაცია, ან საიდან შეიტყვეთ?

_____

16. **რამდენად დროულად მოგაწოდათ ან გაწვდიან თემის შესახებ ინფორმაციას შესაბამისი ორგანოები?** (აქ თუ შეყოყმანდა, დაამატეთ სიტყვიერად, რომ იგულისხმება თვითმართველობა – საკრებულო/მერია, მაგ. უთხარით ფაროსანასთან ბრძოლის კამპანია, მიწის უფასო დამუშავება და ა.შ.)

1. დროულად შევიტყვე; 3. უკვე დასრულებული იყო როდესაც შევიტყვე; 99. უარი პასუხზე.
2. ძალიან გვიან გავიგე; 4. არც ისე დროული იყო; 5. საერთოდ ვერ ვიგებ;

17. **პირადად თქვენ ხართ თუ არა ჩართული რაიმე სახის სახელმწიფო პროგრამაში?**

1. დიახ; 2. არა. 99. უარი პასუხზე

18. **თქვენ კონკრეტულად რა სახის პროგრამაში ხართ ჩართული?** (შეკითხვა დაუსვით მაშინ, თუ მე–17 შეკითხვაზე გაგვცა დადებითი **..დიახ“** პასუხი; **აქ იგულისხმება სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები**)

_____

19. **გთხოვთ, მითხრათ, სარგებლობთ თუ არა რაიმე სახის აგრო ან სხვა სახის საბანკო კრედიტით?**

1. დიახ; 2. არა; 3. წარსულში მქონდა; 99. უარი პასუხზე.

20. **სქესი**

1. მდედრობითი; 2. მამრობითი.

21. **ასაკი** _____

22. **ოჯახის წევრთა შემადგენლობა**

1. 1 წევრი; 3. 3 წევრი; 5. 5 წევრი; 77. სხვა _____;
2. 2 წევრი ; 4. 4 წევრი; 6. 6 წევრი; 99. უარი პასუხზე.

23. **ხართ თუ არა დასაქმებული?** (თუ არ მუშაობს, ჩაეკითხეთ, მიწას თუ ამუშავებს და ამით თუ ირჩენს თავს)

1. დიახ; 2. არა; 3. მხოლოდ პირად მიწის ნაკვეთზე; 99. უარი პასუხზე.

24. გთხოვთ მითხრათ თქვენი დასაქმების/დაუსაქმებლობის სტატუსი:

№	**დასაქმების სტატუსი**	№	**დაუსაქმებლობის სტატუსი**
1.	საჯარო სამსახური;	5.	პენსიონერი;
2.	კერძო სექტორი;	6.	სტუდენტი;
3.	თვითდასაქმებული არარეგისტრირებული;	7.	დიასახლისი;
4.	ინდმეწარმედ რეგისტრირებული;	8.	სოციალური დახმარების მქონე
77.	სხვა _____	99.	უარი პასუხზე.

25. ოჯახში დასაქმებულთა რაოდენობა:

1. ყველა სრულწლოვანი; 3. 3 წევრი; 7. არც ერთია დასაქმებული;
2. მხოლოდ 1 წევრი; 4. 2 წევრი; 77. სხვა _____; 99. უარი პასუხზე.

26. თუ საიდუმლო არ არის გთხოვთ შემოხაზოთ (ან გვითხრათ) თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი რამდენია? _____

1. 0–180; 3. 301–500; 5. 801 – 1100; 7. 1500 + 88. არ ვიცი.
2. 181 – 300; 4. 501–800; 6. 1101 – 1500; 77. სხვა _____; 99. უარი პასუხზე;

სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარის სტრუქტურა:

1. რა სახის პროექტში ხართ ჩართული/მონაწილეობთ?
2. საიდან შეიტყეთ, ან ვინ ჩაგრთოთ აღნიშნულ პროექტში?
3. რა სფეროს შეეხება თქვენი პროექტი?
4. მუნიციპალიტეტის თვითმართველობის წარმომადგენლებთან თუ გქონიათ ან ამჟამად თუ გაქვთ რაიმე სახის ურთიერთობა?
   - რა საკითხთან დაკავშირებით?
5. თვითმართველობა თუ გაწვდით ინფორმაციას სიახლეების შესახებ თქვენს სფეროში?
   - ახალი პროექტების შესახებ?

6. თუ გრთავთ რაიმე სხის აქტივობებში? მაგალითად გორის დღეები (გორაობა) ან სხვა სახის ღონისძიებებში?
   - თქვენ პირადად არ გქონიათ სურვილი რომ მიგეღოთ მონაწილეობა?
   - სურვილისაგან განსხვავებით მცდელობა თუ გქონიათ?
   - თუ არა, რატომ არ ჰქონია მცდლობა?
7. თუ მიუღია მონაწილეობა სად, რაში?
8. რამდენად კმაყოფილი დარჩა მონაწილეობის მიღებით?
9. თქვენი გამოცდილებით რომ მითხრათ, 2014-2021 წლების განვითარების პროგრამაზე რას ფიქრობთ, რამდენად მოსწონთ?
10. რამდენად ეფექტურად ხორციელდება თქვენი გამოცდილებიდან რომ ვიმსჯელოთ?
11. მუნიციპალიტეტის მართვაში რაიმე სახით თუ იღებთ მონაწილეობას?
12. რა სახით იღებს მონაწილეობას?
13. თუ არ ღებულობს, რატომ არ რებულობს მონაწილეობას (რაიმე დაბრკოლება ხომ არ აქვს)?
14. თუ გამოუთხოვიათ როდისმე რაიმე სახის საჯარო ინფორმაცია?
15. როდის გამოითხოვა და რამ განაპიროა ინფორმაციის გამოთხოვის საჭიროება?
16. მიიღო ის ინფორმაცი რაც ესაჭიროებოდა?
17. თქვენი გამოცდილებით, 2014-2021 წლების განვითარების პროგრამა რომ შეაფასოთ, რამდენად ეფექტურად ხორციელდება?
18. **რესპონდენტის შენიშვნები; რეკომენდაციები; რჩევები.**

კვლევის დიზაინი

თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი არის ევროკავშირის ასოცირების დოკუმენტით და საქართველოს თვით-მართველობის კოდექსით ნაკისრი ვალდებულება, რაც გულისხმობს საზო-გადოებასთან სიახლოვეს სამი კომპონენტის მიხედვით – საზოგადოების ჩართულობით, ინფორმირებულობითა და მონაწილეობით. შესაბამისად თუ გვსურს, რომ ჩვენ შევაფასოთ და მონიტორინგი გავუწიოთ თვითმართვე-ლობის საზოგადოებასთან სიახლოვეს ამისთვის გვჭირდება ვიკვლიოთ აღნიშნული საკითხი თავად საზოგადოებაში და არ შემოვიფარგლოთ მხო-ლოდ დოკუმენტების შესწავლის მეთოდით, ან არსებული სტატისტიკით, რადგან ეს არ გვაძლევს ზუსტ ინფორმაციას. გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლოა პიროვნებამ წელიწადში რამდენჯერმე გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, ან ერთი და იგივე საზოგადოებრივი ჯგუფები იყვნენ ჩართულ-ნი და მონაწილეობდნენ თვითმართველობის საქმიანობაში. ეს ინფორმაცია ბეჭდური და სტატისტიკური სახით ნამდვილად ეფექტური იქნება, თუმცა ის იქნება არსებული მხოლოდ ერთ მცირე ჰომოგენურ[17] ჯგუფზე. შესაბამისად ჩვენი მიზანია შევისწავლოთ საზოგადოებასთან სიახლოვე მთლიანად გორის მუნიციპალიტეტში და მიღებული შედეგები იყოს განზოგადებადი გორის მუნიციპალიტეტის ყველა სრულწლოვან პირზე (გენერალურ ერთობლიობაზე).

მიმდინარე კვლევისას გამოვიყენებთ შერეული კვლევის დიზაინს, რაც გულისხმობს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების ერთობლივად გამოყენებას. აღნიშნული დიზაინი იძლევა საშუალებას კვლევა განხორციელდეს ეტაპობრივად, მონაცემთა შეგროვება-შესწავლით დაწყებული ძირითად შედეგებამდე, მონაცემთა განზოგადებით დასრულე-ბული. განვმარტოთ რა იგულისხმება ამ შესაძლებლობაში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ კვლევის დიზაინსაც რამდენიმეს ვიყენებთ, თუ შეიძლება ამის ასე თქმა. კერძოდ, 2014-2021 წლების სტრატეგიული განვითარების პრო-გრამის მონიტორინგისთვის და ფოკუს ჯგუფების კვლევისას გამოვიყენებთ ფენომენოლოგიურ კვლევის დიზაინს, რაც გულისხმობს გამოცდილებაზე დაყრდნობით შეძენილი ინფორმაციის საშუალებით მოხდეს კვლევისთვის

[17] ჰომოგენური – ერთგვარი, ერთი სახეობა.

საჭირო ინფორმაციის შესწავლა. ფენომენოლოგია გვეხმარება შევისწავ–ლოთ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა და ბენეფიციართა გამოცდილე–ბიდან გამომდინარე მიღებული ცოდნა, რაც მნიშნელოვანი დასაყრდენი იქნება შერეული კვლევის დიზაინში რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისთვის.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევისას გამოვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან დოკუმენტის ანალიზის, ფოკუს ჯგუფს, სიღრმისეული ინტერვიუსა და შედარებითი ანალიზის მეთოდებს, ხოლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდიდან მხოლოდ ინტერვიუ–ანკეტირების მეთოდს. დოკუმენტის შესწავლის მეთოდი გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ არსებული ინფორმაცია და განვსაზღვროთ ის ძირითადი მიმართულებები, რასაც უნდა გაესვას ხაზი კვლევისას და გაკეთდეს ძირითადი აქცენტი ინტერვიუს ჩატარების დროს გამოვლენილ საჭირო საკითხებზე. სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი დაფუძნებული იქნება ფენომენოლოგიური კვლევის დიზაინზე, რაც გულისხმობს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპონდენტთა გამოცდილებიდან გამომდინარე შეძენილი ცოდნის გაზიარებას და მათ ცოდნაზე დაყრდნობით კვლევის ინსტრუმენტების პილოტაჟს, ცნებების, მიმართულებების დადგენას და ა.შ. ანუ ჩვენ გვინდა ამ ორი მეთოდით საფუძვლიანად შევისწავლოთ თვითმართველობასთან სიახლოვე საზოგაოების და პირიქით, თვითმართველობის სიახლოვე საზოგადოებასთან, როგორ ხორციელდება, რა გამოწვევებს და რეკომენდაციებს ხედავს თავად ის საზოგადოება, რომელსაც აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან სიახლოვის გამოცდილება. ეს მოგვცემს საშუალებას მაქსიმალური სიზუსტით იყოს შედგენილი ინტერვიუ–ანკეტირების კითხვარი. აღნიშნული კითხვარი არის ძირითადი დასაყრდენი ინსტრუმენტი რაოდენობრივი კვლევის განხორციელებისა და მისი სწორად შედგენა მოგვცემს საშუალებას საზოგადოებისგან ამოვიღოთ ის მაქსიმალური ინფორმაცია ობიექტურად, რაც შეეხება თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვეს. ასევე რაოდენობრივ კვლევასთან უნდა ითქვას, რომ ინტერვიუს დროს შეუძლებელია ჩაკითხვა, ან შეკითხვის გამეორება ინტერვიუს სხვა ნაწილში გამომდინარე იქიდან, რომ რაოდენობრივი კვლევა არის მკაცრად სტრუქტურირებული კვლევა და ის მიყვება წინასწარ დადგენილ/შედგენილ

სტანდარტს. ბოლოს კი შედარებითი ანალიზის საშუალებით მოხდება მიღებული კვლევის მონაცემების შედარება გასულ წლებში ჩატარებულ კვლევის მონაცემებთან, რომელიც სამჯერ არის განხორციელებული და მოიცავს ზოგადად თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის შეფასებას. ეს მოგვცემს ,,უნიკალურ" საშუალებას გორის მუნიციპალიტეტში გაიზომოს ძველი და ახალი თვითმართველობების მუშაობის ეფექტურობის შედარება საზოგადოებასთან სიახლოვის მხრივ.

კვლევისას გამოვიყენეთ რამდენიმე შერჩევის მეთოდი, რადგან კვლევის ბიუჯეტი არ იძლევა საშუალებას მაქსიმალურად მოვიცვათ გორის მუნიციპალიტეტის ყველა თემი და სოფელი. გამომდინარე აქედან გამოვიყენეთ შემთხვევითი შერჩევის მეთოდი, რომლის საშუალებითაც შეირჩა მუნიციპალიტეტის თემების მეოთხედი და მასში შემავალი ყველა, სოფელი. ქ.გორი შერჩევაში არ შედიოდა, რადგან ეს არის ერთადერთი ქალაქი და ამიტომ ის ავტომატურად ჩაჯდა საკვლევ ობიექტად. შემთხვევით შერჩევის შემდეგ გამოვიყენეთ სისტემური შერჩევა, რაც იძლევა საშუალებას პროპორციულად შევარჩიოთ თითოეულ სოფელში გამოსაკითხ რესპონდენტთა რაოდენობა და შევძლოთ თითოეული რესპონდენტის სტატისტიკური წონის გამოთვლა. ეს მოგვცემს საშუალებას, რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები განვაზოგადოდ მთლიან გენერალურ ერთობლიობაზე და არა შერჩეულ რესპონდენტთა გენერალურ ერთობლიობაზე. წინასწარ გათვლილი შერჩევის ჩარჩოთი კვლევის საშუალო ცდომილობა უნდა ყოფილიყო 4%.

თვისებრივ კველვას რაც შეეხება, მისი სანდოობა მერყეობს 60–80%–ს შორის, თუმცა ეტაპობრივი პილოტაჟისა და კვლევის განხორციელებისას (იგულისხმება, რომ თვისებრივი კვლევა მიმდინარეობს 1 თვის მანძილზე რეალურად) მოგვეცემა საშუალება მაქსიმალურად ზუსტად და ობიექტურად შევისწავლოთ საკვლევი საკითხი, რაც მოგვცემს მაღალ სანდოობას და ეს ნათლად გამოჩნდება რაოდენობრივი კვლევის სანდოობის გამოთვლის შედეგად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუ–ანკეტირების წინასწარი სანდოობის დონედ განვსაზღვრეთ 96%–იანი სანდოობის დონე. რაც არის სტანდარტული/კლასიკური სანდოობის მაჩვენებელი რაოდენობრივი კვლევისათვის.

კვლევის ეტაპები:

- კვლევის პირველ ეტაპზე განხორციედა საზოგადოების სიახლოვესთან დაკავშირებით არსებული საჯარო ინფორმაციის შესწავლა დოკუმენტის ანალიზის მეთოდით. მომზადდა კვლევის ჩატარების კალენდარი და დაიგეგმა ველი.
- შემუშავდა თვისებრივი კვლევის კითხვარი და შეირჩნენ ფოკუს ჯგუფებისთვის რესპონდენტები. დაიგეგმა ფოკუს ჯგუფების ჩატარების განრიგი. პარალელურად ვიმუშავეთ რაოდენობრივი კვლევის დიზაინის დახვეწაზე. ამ ეტაპზე დავიწყეთ ბიზნეს სუბიექტების და მათი საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება.
- შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის ანკეტა და გადამზადდნენ ინტერვიუერები კვლევის ჩატარებაში, მათ გაიარეს ტრენინგი კვლევის ჩატარების მეთოდიკასა და მეთოდლოგიაში. დაიგეგმა კვლევის მარშუტები და ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა.
- დამუშავდა მიღებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემები. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები 2014-2021 წლების განვითარების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებ-თან. მომზადდა კვლევის ანგარიში. ასევე განხორციელდა შედარებითი ანალიზი გასული წლების კვლევებთან მიმართებაში.
- ბოლო, მე-5 ეტაპზე განხორციელდა კვლევის შედეგების პრეზენტაცია და ადვოკატირების კამანია გორის მუნიციპალიტეტის თვითმართველობისა და მოქალაქეების ჩართულობით.

კვლევის შედეგები

პროექტ ,,თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი"-ს შიდა ქართლში, კერძოდ გორის მუნციპალიტეტში, განხორციელდა სამი კვლევა, თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგის მიზნით. კვლევისას გამოყენებული იყო ის მეთოდიკა და მეთოდოლოგია რაზეც დაწვრილებით საუბარია კვლევის დიზაინში. კვლევის განმავლობაში გამოყენებული იყო როგორც

რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის მეთოდიდან გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუ–ანკეტირების მეთოდი. რაც შეეხება თვისებრივ კვლევას, აქ გამოყენებულ იყო ფოკუს კვლევისა და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდები. სამივე სახის კვლევა ეტაპობრივად და თანმიმდევრობით ჩატარდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის მარტის თვიდან დაიწყო ფოკუს ჯგუფები და ერთი კვირის განმავლობაში ჩატარდა ოთხი ფოკუს კვლევა. აღნიშნული ინტერვიუებიდან ერთი ჯგუფი მთლიანად შედგებოდა მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან, რომელთა დისკუსიიდანაც გარკვევით გამოჩნდა ის პრობლემები თუ გამოწვევები, რაც დგას გორის მუნიციპალიტეტში თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით. აღნიშნული ინტერვიუს დროს გამოვლენილი პრობლემები და გამოწვევები ანალოგიურად შესამჩნევი იყო რიგითი მოქალქეებისთვისაც, რაც შემდგომ სამ ფოკუს კვლევაში დადასტურდა კიდეც და მთლიანობაში ერთიდაიგივე სურათს გვიხატავდა. მნიშვნელოვანია ფოკუს ჯგუფის შედეგების როლი რაოდენობრივი კვლევის კითხვარის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და დახვეწაში, რამაც მოგვცა საშუალება რაოდენობრივი კვლევის 95,7%–იანი სანდოობით ჩატარებისა. რაოდენობრივი კვლევა ფოკუს ინტერვიუსების დასრულებიდან სამი კვირის შემდგომ დაიწყო და აპრილის თვეში, ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. კვლევისას ინტერვიუების ჩატარება პარალელურად მიმდინარეობდა თვითმართველ ქალაქსა და მის რაიონებში. მესამე კვლევას რაც შეეხება, სიღრმისეული ინტერვიუები განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბინეს სუბიექტებთან, სადაც შედიოდნენ როგორც ინდივიდუალური მეწარმეები, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის სამსახურის წარმომადგენლები. აღნიშნული კვლევა განხორციელდა მაისის თვეში და უნდა აღინიშნოს მასთან დაკავშირებით გამოწვეული პრობლემები, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, ასევე რესპონდენტთა დაბალი ცოდნის გამო, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშოს ისიც, რომ ბიზნეს სუბიექტებთან კვლევა არ მიმდინარეობდა მხოლოდ თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მიმართულებით, მათთან ასევე ჩადებული იყო 2014–2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის კომპონენტი, რამაც ძალიან საინტერესო შედეგები მოგვცა კვლევისას. საინტერესო

შედეგი მივიღეთ ჰიპოთეზების შემოწმებისასაც, რომელიც კვლევის დაწყებისას იყო დასმული (გვ. 13). ჰიპოთეზა – H_0: მოსახლეობამ არ იცის თვითმართველობაში მონაწილეობაზე საკუთარი უფლებების შესახებ – ჭეშმარიტია სამივე კვლევასთან მიმართებაში, ხოლო რაოდენობრივი კვლევიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის 30%-მა იცის საკუთარი უფლებების შესახებ. მეორე და მესამე ჰიპოთეზებისთვის – H_1: ცენტრალური ხელისუფლება სრულად უზრუნველყობს 2014-2021 წლების სტრატეგიული განვითარების პროგრამით მოსარგებლე ბენეფი-ციართა ჩართულობას სამთავრობო პროგრამებში.[18] H_0: ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას ევროკავშირის ასოცირების დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად – ჰიპოთეზები უარყოფილია.

ქვემოთ წარმოგიდგენთ დაწვრილებით კვლევის შედეგებს თანმიმდევრულად:

❖ ფოკუს კვლევის ანალიზი

პროექტ თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგის ფარგლებში რიგით პირველი კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ ფოკუს კვლევის მეთოდის საშუალებით. კვლევის განმალობაში სულ შედგა ოთხი ფოკუს ჯგუფი. პირველი ჯგუფი, დაკომპლექტებული იყო სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია სექტორის წარმომადგენლებით. მათთან საუბრის შემდეგ ნათელი სურათი შეგვექმნა გორის მუნიციპალიტეტში არსებულ სიტუაციაზე თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით. ფოკუს კვლევა თავისი წყობით არის ნახევრადსტრუქტურირებული. გარდა იმისა, რომ შემუშავებულ წყობას მისდევდა მოდერატორი, კვლევისას ზემოთ აღნიშნულ ჯგუფთან დამატებით ვსაუბრობდით მათი გამოცდილებიდან გამომდინარე დაგროვილ ცოდნასა და ქეისებზე. ფოკუს კვლევაში შემდგომი სამი ჯგუფი შედგებოდა ჩვეულებრივი მოქალაქეებისაგან, სადაც შედიოდნენ როგორც

[18] გამოყენებულია ალტერნატიული ჰიპოთეზა. H_0 ნულოვანი ჰიპოთეზისთვის შემოსულია H_1 ალტერნატიული ჰიპოთეზა. ეს ორივე ჰიპოთეზა არსებობს თვისებრივი კვლევით შემოწმებისთვის, რომელიც ტარდება სიღრმისეული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის საშუალებით.

საჯარო, ასევე კერძო სექტორში დასაქმებული და თვითდასაქმებული პირები. საჯარო სამსახურში დასაქმებული რესპონდენტები – გარდა თვითმართველობის სტრუქტურებისა – იყვნენ სკოლის მასწავლებლები და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში მომუშავე პირები. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია სექტორის ფოკუს შეხვედრა ემსახურებოდა კვლევის დაგეგმარებისა და საკვლევი ინსტრუმენტის გამართულად შემუშავების მიზანს, შესაბამისად მათთან ჩატარებული ინტერვიუ არ აისახება კვლევის ანალიზში (თუმცა მათთან ჩატარებული კვლევის შედეგები ანალოგიურია მოქალაქეებთან მიღებული შედეგებისა).

ფოკუს კვლევამ მოგვცა საკმაოდ ღრმა ცოდნა მუნიციპალიტეტში საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, რაც გახდა საუკეთესო წინაპირობა რაოდენობრივი კვლევის დაგეგმის თვალსაზრისით და შესაძლებელი გახდა რაოდენობრივი კვლევის სტრუქტურისა და ანკეტის გამართვა–დახვეწისა. აღსანიშნავია, რომ ფოკუს კვლევაში მონაწილეობა მიიღო ორმოცამდე მოქალაქემ. კველავში მონაწილე პირთა ვინაობა შეადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

ფოკუს კვლევის განმავლობაში რესპონდენტებთან ძირითადად საუბარი იყო საზოგადოებასთან სიახლოვის შემსწავლელ სამ ინდიკატორზე, როგორიცაა ჩართულობა, მონაწილეობა და ინფორმირებულობა, ხოლო ინტერვიუს დასასრულს ვთხოვდით შეხვედრის შეჯამების შედეგად მოეცათ რეკომენდაციები იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაზე საუბარიც მიმდინარეობდა შეხვედრის განმავლობაში. წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს: უშუალოდ ინტერვიუს დაწყებისას, კონტროლის მიზნითა და რესპონდენტთა მობლიზებისათვის საუბარს ვიწყებდით ინფორმაციის მიღების წყაროებისა და სიხშირეების თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები სისტემატიურად ადევნებენ თვალს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს მედიის საშუალებით, დაახლოებით კვირაში რამდენჯერმე მათი უმეტესობა იღებს ინფორმაციას მედიის საშუალებით, ხოლო დარჩენილი 1/2–ის ნაწილი ყოველდღიურად ან ძალიან იშვიათად ადევნებს თვალს. ინტერნეტის მოხმარება უფრო ინტენსიურია ახალგაზრდა და შუახანს ქვემოთ მყოფ რესპონდენტებში. შუახნისა და მეტი ასაკის მქონე რესპონდენტებში უფრო ტელევიზიის როლია მაღალი. ინტერვიუს განმავლობაში საუბარი იყო

ინფორმაციის გვიან გაშუქებაზე, რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი, ის ვინც ყოველდღიურად ან კვირაში რამოდენიმეჯერმე მაინც იღებს ინფორმაციას, საუბრობდა ინფორმაციის გვიან მიწოდებაზე.

რესპონდენტებთან საუბრისას საინტერესო იყო თავად მოქალაქეების ჩართულობა ქალაქის მმართველობაში. დავინტერესდით, მოქალაქეებს როგორ ესმოდათ „ქალაქის მართვაში ჩართულობა", რისი საშუალებითაც შესაძლებელი იყო გაგვეგო თუ როგორ ესმით მოქალაქეებს მონაწლეობა თვითმართველობაში. მოქალაქეები გამოხატავდნენ სურვილს, ინიციატივას, მოქალაქეების მხრიდან სამუშაო ჯგუფების შექმნისა, რომლებიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეძლებდნენ მათთვის საინტერესო საკითხზე თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ჩართულიყვნენ დისკუსიებში, მოლაპარაკებებსა და განხილვებში. საუბარია ასევე მეტ ფიზიკურ სიახლოვეზე მოქალაქეებთან. ჩივიან, რომ მხოლოდ წინა საარჩევნო პერიოდში ხშირდება მოსახლეობასთან სახელმწიფოს (პოლიტიკური ძალების) მხრიდან პირისპირი შეხვედრები. რესპონდენტთა ნაწილი აქვე საუბრობს ამ მხრივ მედიის როლის ზრდაზეც. მათი აზრით, ინფორმაცია მაქსიმალურად უნდა გავრცელდეს მოსახლეობაში. ასევე მიაჩნიათ, რომ საჭიროა არჩეულ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ჰქონდეთ მოქალაქეებთან შეხვედრის საათები გამოყოფილი, ყოველკვირეულად, ან ყოველთვიურად, აგრეთვე მიიჩნევენ რომ შესაბამისი შეხვედრებისთვის ყველა უბანში იყოს გამოყოფილი რაიმე ფართი/შენობა, სადაც პერიოდულად იქნება შესაძლებელი შეხვედრა მათ დეპუტატთან, მერთან თუ სხვა სახელმწიფო მოხელესთან. ამასთან, მოქალაქეები თავადვე საუბრობენ საზოგადოების მხრიდან არსებულ პროლემასა და დაბალ ინტერესზე. აღნიშნავენ, რომ თავად საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ერთობა და მოინდომოს ჩართვა ქალაქის მართვაში. საუბრობენ იმაზეც, რომ საზოგადოება და თვითმართველობა ერთად უნდა ღებულობდეს გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ მოვლენებთან დაკავშირებით.

ინტერვიუს ამ ნაწილშივე ვეკითხებოდით რესპონდენტებს უშუალოდ მათ პირად გამოცდილებაზე, 2014 წლიდან 2018 წლამდე ოდესმე თუ ყოფილან ჩართულნი ქალაქის მართვაში, ან რაიმე ფორმით თუ მიუღიათ მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ დაახლოებით მხოლოდ 2/5–ს ყოფილა

რაიმე ფორმით ჩართული მუნიციპალიტეტის მართვაში. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის აქტივობებში ჩართულობას, რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი 2/5 იყო ჩართული თვითმართველობის პროექტებში და ესეც იყო მხოლოდ დასუფთავების აქცია. ინტერვიუს პროცესში ვკითხეთ რესპონდენტებს თუ ჰქონიათ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პრაქტიკა ან წერილობითი სახის მიმართვა რაიმე საკითხზე. როგორც ინტერვიუდან გაირკვა აბსოლუტურ უმრავლესობას მიუმართავს განცხადებით, კერძოდ კი სოციალური დახმარების საკითხებთან დაკავშირებით და საზოგადოებრივი პრობლემის კუთხით.

რესპონდენტებმა ისაუბრეს თვითმართველბის მიერ განხორციელებულ პროექტებზე. მათი ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვიდა, რაც შეეხებოდა როგორც სოფლის მეურნეობაში არსებულ პროგრამებს, ასევე სოციალურ, სპორტულ და კულტურულ პროგრამებს, ძალიან მცირე ნაწილს კი არ ახსოვდა არანაირი პროგრამა. უშუალოდ ჩართულობას რაც შეეხება, მხოლოდ კულტურულ აქტივობებში ჩართულობაზე არის მაღალი მაჩვენებელი, თან ესეც მაყურებლის პოზიციიდან. მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონია სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება. ინტერვიუს განმავლობაში საკმაოდ ცხარე კამათი გამოიწვია ქალაქში მიუსაფარი ძაღლების პრობლემამ. როგორც აღნიშნავენ რესპონდენტები, საკმაოდ მოხშირდა მათ გარშემო მიუსაფარი ცხოველების მხრიდან თავდასხმები. ერთხმად თანხმდებიან ამ პრობლემების სიმწვავეზე, ამბობენ, რომ ერთობ შემაწუხებელია. ასევე აღინიშნება, რომ თავშესაფრი მოუწესრიგებლია და არის ზოგადად არადამაკმაყოფილებელი პირობები. რესპონდენტები დადებითად აფასებენ სოფლებში სანაგვე ურნების განთავსებას და აღნიშნავენ, რომ გარემოს დაცვის თვალსაზრისით საკმაოდ კარგი და შედეგის მომცემი პროგრამა მუშაობს. რესპონდენტებს გაახსენდათ სოფლების გაზიფიცირება; სასმელი წყლის გაყვანა; გზების რეაბილიტაცია; საბავშვო მოედნების რეკონსტრუქცია (თუმცა აქ ასევე აკონკრეტებენ, რომ სამუშაო სანახევროდ და უსაფუძლოდ სრულდება, მიზეზად კი სახელდება ტენდერის გამოცხადების აუცილებლობა. მაგალითად გაზიფიცირება, მრიცხველებს არ აყენებენ წლებია, რადგან საჭიროა ტენდერი; წყლის გაყვანილობა იგივე მიზეზით არაა ჩართული და აშ.); სკოლებისა და

ბაღების რეაბილიტაცია; სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (თუმცა, აპროტესტებენ უბნებში საბავშვო მოედნებისა და სკვერების არ არსებობას); ატენის ხეობის კულტურულ ცენტრად (ძეგლად) გამოცხადება; ბოშურში გზის გაყვანა/; თანადაფინანსების პროგრამა; მეფუტკრეობა; მეღვინეობის ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის რებილიტაცია; საახალწლოდ ქალაქის მორთვა; სკვერები; გორის დღეები, კონცერტები; 26 მაისის ღონისძიებები და მაღალმთიანობის სტატუსი.

ფოკუს ჯგუფში რესპონდენტებთან გვქონდა საუბარი უშუალოდ ჩართულობისა და მონაწილეობის თემაზე. რესპონდენტებს შესაბამისი ფორმების დასახელება გაუჭირდათ, თუმცა უმეტესობა ხაზს უსვამდა მუნიციპალიტეტთან ფიზიკურ სიახლოვესა და ურთიერთთანამშრომლობას. მცირე ნაწილმა დაგვისახელა ჩართულობა სატელევიზიო გადაცემების საშუალებით და საჯარო განხილვების მოწყობაზე დისკუსიებში მონაწილეობის მიღება. რესპონდენტთა სურვილია, რომ დაფუძნდეს პერიოდული შეხვედრების პრაქტიკა. ყოველ კვირას, თვეს, თვე გამოშვებით ეწყობოდეს შეხვედრები. აღნიშნულ შეხვედრებთან დაკავშირებით მზადდებოდეს საჯარო წერილობითი დოკუმენტაცია, რაც გამოდგება მყარ გარანტიად მიღწეული შეთანხმების შესრულებისა. მცირე ნაწილი მონაწილეობის ფორმის ეფექტურ საშუალებად მიიჩნევს კვლევით საქმიანობას და საზოგადოების აზრის მიტანას თვითმართველობის წარმომადგენლებამდე. ჩართულობაში გვისახელებენ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას, როგორც წერილობით, ასევე ელექტრონულად. თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან მცირე ნაწილთან დაფიქსირდა. წერილობით მიმართვა ძირითადად სოციალური დახმარების დანიშვნა/მოხსნის საქმესთან იყო დაკავშირებული. რეალურად კი სხვა ინფორმაციის მიღების მხოლოდ ცალკეული შემთხვევა დაფიქსირდა.

საუბარი ასევე გვქონდა საჯარო ინფორმაციის გავრცელება–გაშუქებაზე. ვეკითხებოდით ინფორმაციის მიღების, ასევე მისი შინაარსით კმაყოფილებისა და ინფორმაციის დროულობის შესახებ. ითქვა, რომ მუნიციპალიტეტი იყენებს მედიას, თუმცა ინტერნეტ მედიის როლი და ამ არხით ინფორმაციის გავრცელება ტელევიზიასთან შედარებით მეტია. მონაწილეთა ნახევარი აღნიშნავს, რომ უყურებს ტელევზიას და მისი მეშვეობით იღებს ინფორმაციას მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებზე,

თუმცა იმასაც ამატებენ, რომ ძირითადად უკვე დასრულებულ ამბებს აშუქებენ. ეს კი ხელს უშლით აქტივობებში ჩართვაში. მედიის საშუალებით წინასწარ არ აანონსებენ პროექტებს. ამასთან დაკავშირებით გამოთქვეს გულისტკივილი. ინფორმაციის მიღების მხრივ ინტერნეტის როლი საკმაოდ მაღალია. დაახლოებით 1/3–ზე მეტი და აქაც ლაპარაკობენ დასრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, თუმცა მხოლოდ იმ რესპონდენტების შემთხვევაში, რომლებიც ინფორმაციას რეგიონალური ტელევიზიების ინტერნეტ პლატფორმებიდან იღებენ. ის რესპონდენტები, რომლებიც უშუალოდ თვითმართველობის ინტერტნეტ პლატფორმებს იყენებენ გაცილებით უკეთ ახასიათებენ ინფორმაციის გავრცელების სისწრაფეს, დროულობასა და ანონსების წაკითხვას ინტერნეტში. რესპონდენტების ერთმა ნაწილმა საერთოდ ვერ შეძლო ამ ნაწილის შეფასება და აღნიშნა, რომ საკუთარი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე ვერ შეაფასებდნენ არსებულ სიტუაციას. მათ თავი შეიკავეს შეფასებისგან. თუმცა ინტერვიუს ამ ნაწილში, ზემოთ ხსენებულმა ჯგუფმა წამოჭრა ახალგაზრდებთან სიახლოვის საკითხი. აღნიშნეს, რომ უმჯობესი იქნება თვითმართველობას ახალგაზრდებთან ჰქონდეს უფრო მეტი და მჭიდრო კავშირი, რათა იცოდეს მათი მოთხოვნილებები და მათი გაძლიერებით მომავალში სერვისები გაუმჯობესდეს.

საჯარო ინფორმაციის მიღების მხრივ რესპნდენტები დაბრკოლებას ვერ ხედავენ. მიუხედავად იმისა, რომ დიდ ნაწილს არ გამოუთხოვია ინფორმაცია, დაბრკოლება მაინც არ შეექმნებათ ამ მხრივ. საჯარო ინფორმაციის მიღების მხრივ რესპონდენტები მხოლოდ მედიაზე, მცირე ნაწილი კი ინტერნეტზეა დამოკიდებული. თუმცა მიღების ხარისხს რაც შეეხება არასრულფასოვნების შთაბეჭდილება რჩებათ რესპონდენტებს და საუბრობენ, რომ ძირითადად შუქდება ის ინფორმაცია რაც აწყობს თვითმართველობას, ან ტელევიზიას (სუბიქტურია ძირითადად) ნაკლებია ობიექტური ინფორმაცია. ინტერვიუსას საუბარი იყო ინფორმციის არადროულად გავრცელებაზე, რასაც დამაბრკოლებელ ფაქტორად მიიჩნევდნენ რესპონდენტები თვითმართველობის საქმიანობაში ჩასართავად. მცირე ნაწილი ამბობს, რომ ინფორმაციას დროულად იღებს, თუმცა ეს შეეხება მხოლოდ ზოგიერთ მოვლენას. იმ ნაწილმა, ვისაც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გამოცდილება ჰქონდა, გვითხრა, რომ

რამდენჯერმე გამოითხოვა, თუმცა ამომწურავი ან დამკმაყოფილებელი ინფორმაცია ვერასდროს მიიღო (ინფორმაცია შეეხებოდა ტროტუარებისა და გზების კეთილმოწყობას, საცნობ ნიშნებს...); მეორეს პირიქით ყველანაირად დაეხმარნენ, რადგან ეს გზისა და ზებრების მოხატვას ითვალისწინებდა. ერთი მონაწილე გვესაუბრება სამოქალაქო სექტორის გამოცდილებიდან. მას საკმაოდ მდიდარი გამოცდილება ჰქონდა ინფორმაციის გამოთხოვის, საჯარო შეხვედრების და ამ მხრივ რაიმე დაბრკოლებას არ შეხვედრია.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე უკვე შეგვიძლია გადავიდეთ რეკომენდაციების ნაწილზე, რომელიც წარმოადგენდა ფოკუს ინტერვიუს ბოლო ეტაპს. რესპონდენტებს ვთხოვდით შეხვედრიდან და განხილული საკითხებიდან გამომდინარე მოეცათ რეკომენდაციები იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც აქტუალური აღმოჩნდა შეხვედრაზე. რეკომენდაციები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. რეკომენდაციების მოცულობითი პაკეტი მივიღეთ, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:

- ვებ–გვერდის მოწესრიგება; მისი კალენდრის დახვეწა; ინფორმაციის დროულად განთავსება.
- შემცირდეს ფიზიკურად მანძილი თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის.
- გაიმართოს სამართლებრივი ბაზა. არ უნდა იყოს მონაწილეობის მექანიზმები ნებაყოფლობითი. იგი უნდა გახდეს სავალდებულო, ხოლო ჩართულობის მექანიზმის გამოყენება უფრო კონსტრუქციული.
- კომპეტენციებთან ერთად თვითმმართველობას უნდა გადმოეცეს ფულადი რესურსები, რათა შესაძლებელი იყოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.
- არჩევნების დროს არ უნდა იცვლებოდეს ყველა თანამშრომელი.
- თვითმმართველობა უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი პარტიული ნომერკლატურობისგან.
- ქალაქის მერი/წარმომადგენლები ხშირად ხვდებოდნენ ქალაქის/სოფლის მოსახლეობას და იზიარებდნენ/ისმენდნენ მათ მოსაზრებებს.

- მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით გაიზარდოს დასაქმების შანსები.
- მუნიციპალიტეტში დასაქმების დროს შემცირდეს ნეპოტიზმი, პარტიული ნიშნით დანიშვნები.
- გამოასწორონ რაც არ მოსწონთ და რისი შეცვლაც სურთ.
- ქალაქში მოგვარდეს მიუსაფარი ცხოველების პრობლემა.
- მოწესრიგდეს ქალაქის უბნებში ინფრასტრუქტურა, სკვერები და საბავშვო მოედნები.
- მოგვარდეს ნაგვის ურნების პრობლემა, ყველა უბანში იყოს საკმარისი რაოდენობა.
- განახორციელონ ისეთი პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მეტ ჩართულობას, უფრო განვითარდნენ და გახდნენ აქტიურები.
- დამონტაჟდეს ღია ტრენაჟორები; ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს სპორტული დარბაზები.
- ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაცია ახალგაზრდებთან.
- დასაქმების ხელშეწყობა ახალგაზრდებში.
- მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხალისეობის ხელშეყობა.
- სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.
- მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა; გადამამუშავებელი ქარხნების შექმნის ხელშეწყობა.
- მუნიციპალურ საქმიანობაში საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება.
- საზოგადოებაში იყოს ბიუჯეტის გამჭირვალეობა.
- საზოგადოების ჯგუფებზე მუნიციპალიტეტი პერიოდულად გასცემდეს ინფორმაციას.
- გაიზარდოს გაჭირვებული მოსახლეობისადმი დახმარებები.
- საზოგადოებისათვის დაიგეგმოს სხვადასხვა ღონისძიებები.
- სოციალურად დაუცველებისთვის კომუნალურების გადასახდელად და სხვადასხვა მიზნებით მოხდეს სუბსიდიების მიცემა,.

სამოქალაქო სექტორისა და მოქალაქეების პასუხები ერთმანეთის ანალოგიურია. მათ შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ

სამოქალაქო სექტორი უფრო ღრმად და საფუძვლიანად ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებულ თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მდგომარეობაზე. ორივე მხარე საუბრობს საჯარო ინფორმაციის გავრცელების ცუდ პრაქტიკასა და ხარისხზე, ორთავე ხაზგასმით აღნიშნავს მედიის სუბიექტურობას. დასკვნაში ასევე უნდა აღინიშნოს მოქალაქეების დაბალი სამოქალაქო კულტურა, რაც გამოიხატება მათ ინერტულობასა და საკითხის უცოდინრობაში. ფაქტიურად საზოგადოების სოციალურ–ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, ისინი მთლიანად გადართულნი არიან საკუთარ სამუშაოზე და აღარ ინტერესდებიან თვითმართველობაში განვითარებული/მიმდინარე მოვლენებით. აქ ხაზგასასმელია ისიც, რომ მათ არ აქვთ შესაბამისი ცოდნა მათი უფლებებისა და თვითმართველობასთან სიახლოვის კუთხით. ინტერვიუირების განმავლობაში მათი საუბრიდან გამომდინარე თავად რესპონდენტებმაც შეამჩნიეს და აღნიშნეს ეს ფაქტი. თავადვე გამოთქვეს სურვილი შეკრებებისა, შესაკრებელი ფართის არსებობისა, რათა საზოგადოების ჯგუფებში ჩამოყალიბდეს ერთი აზრი, შეჯერდნენ ერთ მიმრთულებაზე, შემდგომში კი რამოდენიმე პიროვნებამ საზოგადოების სახელით შეძლოს საუბარი კომპენტენტურ პირებთან. მოქალაქეები თვითმართველობაში საკუთარ მონაწილეობაზე საუბრისას ხშირად იყენებდნენ შემდეგ ფრაზებს : ,,დრო არ გვაქვს"; ,,მაინც რას შევცვლით"; მათ არ იციან საკუთარ უფლებებზე, დაკარგული აქვთ ან არც გააჩნიათ ენთუზიაიზმი რაიმეს მისაღწევად. ,,მაინც არ მოგვაწვდიან საჯარო ინფორმაციას"; ,,ვინ გაგაგებინებს როდიასა საკრებულოს სხდომა". მოქალაქეებს ასევე მწირი ინფრომაცია აღმოაჩნდათ 2014–2021 წლების განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით. ფაქტიურად მათ ძალიან მცირე ნაწილს აქვს ინფორმაცია, ხოლო საფუძვლიანად კი ვეჭვობ არავინაა ინფორმირებული. მართალია საკმაოდ სპეიფიკურია ზემოთ ხსენებული დოკუმენტის ცოდნა, მაგრამ მის არსებობასა და რამოდენიმე მიზანზე, მაინც უნდა ქონდეთ მოქალაქეებს წარმოდგენა, რადგან დოკუმენტი შექმნილია ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების ყოველდღიური ყოფის გასაუმჯობესებლად. არალოგიკურია ასეთი სახის გეგმის არსებობა და მეორეს მხრივ საზოგადოების დაბალი ცნობიერება, ისევე როგორც თვითმართელობის რეფორმა და მასში მონაწილეობის ფორმებისა და

ცოდნის არ არსებობა. თვითმართველობის მუშაობა ხომ ეფექტურია მაშინ, როდესაც საზოადოებამ იცის როგორ შეუძლია მასში ჩართვა და რა უფლებით სარგებლობს ამ დროს.

❖ რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

თვითმმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგის სოციოლოგიური კვლევა მოიცავს საზოგადოებასა და თვითმმართველობას შორის არსებული სიახლოვის შესწავლას სამი ინდიკატორის – ჩართულობა, მონაწილეობისა და ინფორმირებულობის – მეშვეობით. საველე სამუშაოები განხორციელდა 2018 წლის აპრილის თვეში, 13-23 რიცხვებში და მოიცავს მონაცემებს ამავე წლის მარტის თვის ჩათვლით; შესაბამისად კვლევის დაგეგმვარების ეტაპზე შესწავლილი და გამოყენებული ინფორმაცია შეესაბამებოდა 2018 წლის იანვრის თვის მდგომარეობით არსებულ სიტუაციას, რაზე დაყრდნობითაც შემუშავდა საკვლევი კითხვები, მომზადდა კვლევის დიზაინი და დაიგეგმა კვლევის კალენდარი და რუკა. რაოდენობრივი კვლევის წინ ჩატარდა ფოკუს კვლევა და შედგა ოთხი ფოკუს ჯგუფი, სადაც რესპონდენტები იყვნენ როგორც ქალაქის ასევე სოფლის მაცხოვრებლები. ამ კვლევის წანამძღვრებმა რაოდენობრივი კლვევის კითხვებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საშუალება მოგვცა, რისი საშუალებითაც დაიხვეწა კვლევის სტრუქტურა და საკვლევი კითხვარი.

კვლევისას გამოყენებული იყო რამდენიმე დონიანი შერჩევის მეთოდი, კერძოდ გამოვიყენეთ შემთხვევითი შერჩევის მეთოდი საკვლევი თემებისა და სოფლების შესარჩევად, ხოლო შემდგომ გამოვიყენეთ სისტემური შერჩევის მეთოდი და პროპორციულობის საშუალებით შევადგინეთ კვლევის რუკა.

გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემთხვევით შეირჩა ოთხი თემი, რომელიც შეირჩა კომპიუტერული პროგრამის Spss (სტატისტიკური პროგრამა სოციალური მეცნიერებებისთვის) საშუალებით. ადამიანურმა ფაქტორმა განსაზღვრა მხოლოდ ის, თუ რამდენი თემი უნდა შეერჩია პროგრამას. შესაბამისად, პროგრამის საშუალებით შეირჩა ხუთი თემი – ხიდისთავის, ქვახვრელის, ბერბუკის, ტინისხიდისა და ნიქოზის. ხოლო

ქალაქი ავტომატურად იყო კვლევაში ჩასმული (ყველა თავისი ადმინისტრაციული დაყოფის რაიონებით). ჯამში გორის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 508 რესპონდენტი. კვლევის ცდომილობა 96%-იანი სანდოობისათვის შეადგენს 4,3%, რაც საკმაოდ ,,კარგი" შედეგია ცდომილების თვალსაზრისით. მიღებული სანდოობის პროცენტი იძლევა მონაცემების განზოგადების საშუალებას გორის მუნიციპალიტეტის ყველა სრულწლოვან მცხოვრებზე.

სანამ ვისაუბრებთ კვლევის ძირითად ნაწილზე, უნდა ავღნიშნოთ, რომ ქალაქისა და სოფლის გამოკითხულ მოსახლეობას შორის პროცენტული განაწილება არის 50,6%-49.4%-ზე (დანართი №1, დიაგრამა№1, ასევე დიაგრამა№2), ხოლო თემების მიხედვით გამოკითხულთა პროცენტული მაჩვენებელი შეგიძლიათ იხილოთ პირველ დიაგრამაზე. (დანართი №1).

კვლევის კითხვარი დაყოფილი იყო ოთხ პირობით ბლოკად, პირველი ბლოკი, ეს იყო კვლევის გაცნობის ეტაპი და მარტივი შეკითხვების საშუალებით რესპონდენტის მობილიზება, ხოლო მეორე ბლოკის საშუალებით უკვე ვსწავლობდით ზოგად სიტუაციას, მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობასა და რესპონდენტის სამოქალაქო აქტივობას. მესამე ბლოკი შეისწავლიდა სამი ინდიკატორის ურთიერთ მიმართებას, რომელიც სწავლობდა და მონიტორინგს უწევდა თვითმართველობის სიახლოვეს. ბოლო ბლოკი კი შეეხებოდა დემოგრაფიული მონაცემების შეგროვებას, რაც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას იძლევა გორის მუნიციპალიტეტზე.

პირველი შეკითხვებით ვცდილობდით გაგვერკვია რამდენად აქტიურია რესპონდენტი, რამდენად არის დაინტერესებული მუნიციპალიტეტში მიმდინარე ამბებით. ამისთვის ვთხოვდით ეთქვა ადევნებდა თუ არა თვალს ზოგადად მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს. როგორც აღმოჩნდა, ამ მხრივ საკმაოდ აქტიური მოქალაქეები ვართ. მოსახლეობის 88% ადევნებს თვალს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს, ხოლო 12% არ ადევნებს. 88% დაინტერესებული მოქალაქიდან ვთხოვეთ ეთქვათ, რა საშუალებებით იღებდნენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე. აღმოჩნდა, რომ 45% იყენებს რეგიონალურ მედიას, 26% ინტერნეტ მედიას, 15% მეგობრებისაგან და

თანამშრომლებისაგან, ხოლო 14% იღებს ინფორმაციას მეზობლებისაგან და ოჯახის წევრებისაგან. რაც შეეხება ინფორმაციის მიღების ან მოძიების სიხშირეს, ინფორმაციას ყოველდღიურად იღებს რესპონდენტთა 52%, კვირაში რამდენჯერმე 27%, თვეში რამდენჯერმე 7%, ხოლო თვეში ერთხელ 1% და 0,2% წელიწადში რამდენჯერმე.

შემდგომ რესპონდენტებს უშუალოდ ვეკითხებოდით თვითმართველობაში საკუთარი მონაწილეობის უფლებების შესახებ თუ ჰქონდათ ინფორმაცია. მხოლოდ 28%-მა გვითხრა, რომ იცოდა თვითმართველობაში საკუთარი მონაწილეობის უფლებების შესახებ, ხოლო 72%-ს ამის შესახებ არ სმენიათ. უშუალოდ იმ 28%-ს, რომელმაც იცოდა საკუთარი მონაწილეობის უფლებების შესახებ, ვეკითხებოდით, თუ რომელ უფლებებზე სმენიათ და აღმოჩნდა, რომ 29% გვისახელებს საკრებულოს სხდომებზე დასწრებას, 23% – საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას, 17% – დასახლების საერთო კრებას, 14% – ინიციატივის წარდგენას, 8% – თვითმართველობის ანგარიშების მოსმენას (ღია კარს), 5% – სამოალაქო მჩეველთა საბჭოს. 4% – პეტიციის შეტანა/შედგენას, 1% – ლობისტობას და ასევე 1%-მა გვითხრა რომ არ იცოდა კონკრეტული უფლების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ აქვს ინფორმაცია მონაწილეობის უფლების შესახებ, არ იცოდა მონაწილეობის ფორმა. აღსანიშნავია, რომ აქ რესპონდენტებს შეეძლოთ მაქსიმუმ ხუთი პასუხის დაფიქსირება.

მოქალაქის მონაწილეობის უფლებების შესახებ ინფორმაციის გაგების შემდგომ ვარკვევდით უშუალოდ თვითმართველობის მოსახლეობასთან სიახლოვის ირგვლივ არსებულ სიტუაციას. ვეკითხებოდით თვითმართვე-ლობის წარმომადგენლები თუ მიდიოდნენ მათ თემში ან საცხოვრებელ უბანში შეხვედრებზე. გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 12% აღნიშნავს, რომ მსგავსი სახის შეხვედრები ხდება, ხოლო 86% შემთხვევაში – არ ხდება შეხვედრები. მიუხედავად ასეთი ,,მძიმე" შედეგისა, მომდევნო შეკითხვაში ვთხოვდით რესპონდენტებს გაეხსენებინათ მათ თემში, გასულ პერიოდში რა თემატიკაზე გაიმართა შეხვედრები თვითმართველობის წარმომადგენლებთან. აქ დავუშვით ერთი გამონაკლისი. ამ შეკითხვაზე პასუხის უფლება მივეცით ყველა რესპონდენტს და არ გავფილტრეთ მონაცემები მხოლოდ 12%-იანი დადებითი პასუხის მიხედვით. შედეგი აღმოჩნდა საოცარი და 504-მა რესპონდენტმა გაგვცა პასუხი, ხოლო

რესპონდენტების 44%–მა დაგვისახელა კონკრეტული შეხვედრის თემატიკა და შეძლო გახსენება იმ ფაქტის, რომ მათ თემში ჩატარდა შეხვედრა თვითმართველობის წარმომადგენლებთან. რეალურად 44% დაფიქსირდა, რომ თვითმართველობის წევრები დადიან მოსახლეობასთან შეხვედრაზე, რაც ბევრად უკეთესი შედეგია წინა შეკითხვის შედეგიდან გამომდინარე. უფრორე თუ დავკონკრეტდებით, გამოკითხულ რესპონდენტთა 29%–მა ვერ გაიხსენა ვერანაირი შეხვედრა, 27%–მა პირდაპირ გვითხრა, რომ არც ყოფილა რაიმე სახის შეხვედრა, ხოლო უშუალოდ ის 44%, ვინც გაიხსენა შეხვედრების არსებობის შესახებ – 15% გვეუბნება, რომ იყო ინიციატივის პრეენტაცია/მოსმენა, 13% – საჯარო შეხვედრა, 10% – ანგარიშების მოსმენა, 3% – დასახლების საერთო კრება, თითო პროცენტი პეტიციაზე ხელის მოწერას, თანადაფინანსების პროგრამებსა და სხვა სახის შეხვედრებს იხსენებს, ხოლო უშუალოდ ღია კარსა და მრჩეველთა საბჭოს 0,3 და 0,2 %, ანუ ეს ის პროცენტია, რომლებიც უშუალოდ ყოფილან ჩართულნი მსგავს შეხვედრებში. აღნიშნული მონაცემების კონტროლის მიზნით, რესპონდენტთა იმ 44%–ში ვინც გაიხსენეს მათ თემში ჩატარებული შეხვედრების შესახებ, ვთხოვდით გაეხსენებინათ ის პიროვნებები ან სამსახურები, რომლებიც უშუალოდ იმყოფებოდნენ შეხვედრაზე.

ბოლოს წინა შეკითხვიდან გამომდინარე, ანუ იმ შეკითხვაზე სადაც რესპონდენტთა 44%–მა გაგვცა დადებითი პასუხი, ვთხოვდით ეთქვათ პირადად თუ ესწრებოდნენ მათ თემში გამართულ იმ შეხვედრებს რაც ზემოთ დაგვისახელეს და აღმოჩნდა რომ 23% (იმ 44%–დან და არა 44%–ის 23%) ესწრებოდა კიდეც ამ შეხვედრებს, ხოლო 77% არ ესწრებოდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იმ რესპონდენტებიდან (44%) ვინც გაიხსენა მათ თემში ჩატარებული შეხვედრების თემატიკა, 23% მათგან ესწრებოდა ამ შეხვედრებს და 21% არ ესწრებოდა, ხოლო ის მიღებული 77% არის ჯამი ამ 21%–სა და იმ 56% რესპონდენტებისა, რომელთაც აღნიშნეს, რომ არ ჩატარებულა შეხვედრა ან ვერ გაიხსენეს.

შემდგომად ამისა, 23%–ს, რომლებიც ესწრებოდნენ შეხვედრებს, ვთხოვდით გაეხსენებინათ შეხვედრის თემატიკა. რესპონდენტებს შეეძლოთ მაქსიმუმ სამი პასუხის დაფიქსირება. გამოკითხულთა 96%–ს გაახსენდა შეხვედრების თემატიკა. აღმოჩნდა, რომ შეხვედრების თემა იყო: სასმელი წყლების გაყვანილობა 17%, გზების რეაბილიტაცია 14%, წინა

საარჩევნო პროგრამის გაცნობა 7%, სოციალური ბიუჯეტის დაგეგმვა 5%. 4-4 პროცენტს გაახსენდა ინფრასტრუქტურული, ინიციატივის პრეზენტაცია, საკანალიზაციო ქსელის, გაზიფიცირების, სოციალური პრობლემებისა და სკვერების/საბავშვო მოედნების კეთილმოწყობის შესახებ შეხვედები. მცირე პროცენტული მაჩვენებლით (2 და 1 პროცენტიანი მაჩვენებლით) კიდევ ოცამდე თემატიკის გახსენება შეძლეს. მათი ჩამონათვალის შეგიძლიათ იხილოთ დანართ №1-ში, დიაგრამა №13.

კითხვარის შემგომი ბლოკი უშუალოდ ეხება მოქალაქეთა ინოფმი-რებულობასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. შეაბამისად, გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 11%-ს გამოუთხოვია საჯარო ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტის თვითმართველობიდან, ხოლო 88%-ს არ გამოუთხოვია არასდროს. იმ რესპონდენტებიდან, რომელთაც გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია, 22%-მა ინფორმაცია გამოითხოვა პირადი საჭიროებიდან გამომდინარე, 10-10-მა პროცენტმა ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით, 5-5 პროცენტმა გაზიფიცირების, სასმელწყალთან დაკავშირებით, სახურავის გადახურვასთან, ინფრასტრუ-ქტურის მოწესრიგებასა და დასაქმების პროგრამებთან დაკავშირებით. სხვა მცირე პროცენტიანი მაჩვენებლები შეგიძლიათ იხილოთ დანართ№1-ში, დიაგრამა №16. რაც შეეხება გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ხარისხით კმაყოფილებას, აქ რესპონდენტთა 11% ძალიან კმაყოფილია, 23% - კმაყოფილი, 16% არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო, 34% - უკმაყოფილო, 16% გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ხარისხით ძალიან უკმაყოფილო.

უშუალოდ თვითმართველობაში მონაწილეობის კუთხით, ვეკითხებო-დით, თუ დასწრებია როდისმე საკრებულოს სხდომას (რაც არის პირდაპირი და საუკეთესო გზა თვითმართველობის საქმიანობაში ჩასართავად). რესპონდენთა 23% გვითხრა, რომ დასწრებია საკრებულოს სხდომას. საინტერესო იყო შეკითხვა, თუ რამ განაპირობა საკრებულოს სხდომაზე მათი დასწრების სურვილი. აღმოჩნდა, რომ 15%-ს გააჩნდა ინტერესი მათი მუშაობის სპეციფიკის მიმართ, 12% უნდოდა ინფორმაციის მიღება კონკრეტულ საკითხებზე, 11-11 პროცენტს აინტერესებდათ მუნიციპალი-ტეტში მიმდინარე სიახლეები და სურდათ საკუთარი პრობლემების მიტანა გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე, 6% ინფრასტრუქტურის მოწესრი-

გებასთან დაკავშირებულ საკითხს ესწრებოდა, 5%-ს უშუალოდ აინტერე-სებდა პროგრამების დაგეგმვის პროცესი, 11%-მა დაგვისახელა სხვადასხვა მიზეზი, რომლის კლასიფიცირებაც ვერ მოხერხდა. სხვა დაბალპრო-ცენტიანი მაჩვენებლები შეგიძლიათ იხილოთ დანართ №1, დიაგრამა №19. ამის შემდგომ, გამიზნულად დავუსვით შეკითხვა, თუ იციან, რომ საკრებულოს სხდომაზე აქვთ დასწრების უფლება. აღნიშნული შეკითხვა ამ ნაწილში ჩავსვით, რათა არ მოგვეხდინა პროვოცირება ზემოთ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, შესაბამისად 32%-მა გვითხრა, რომ იცის საკუთარი უფლების შესახებ, ხოლო 68%-მა არ იცის. ინტერვიუს ამ ნაწილში რესპონდენტს უკვე ჩამოუყალიბდა ცოდნა, რომ აქვს საკრებულოს სხდომებზე დასწრების უფლება და ფლობს სიახლოვესა და ინფორმაციის მიღების კუთხით სხვადასხვა მექანიზმებს თვითმართველობაში მონაწი-ლეობისთვის. დავუსვით შეკითხვა, ინტერვიუს შემდგომ, რომ გაუჩნდეთ საჭიროება, სურვილი, დაესწრებოდნენ თუ არა საკრებულოს სხდომებს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, გამოიყენებენ თუ არა ამ უფლებას. რესპონდენტთა 67%-მა გვითხრა, რომ გამოიყენებდა ამ უფლებას და 32%- კი არა (მიზეზად ფოკუს ჯგუფებზეც და შემდგომაც (ინტერვიუერებისაგან) გაჟღერ-და ინფორმაცია, რომ ჰგონიათ, თითოქსდა ვერაფერს შევცვლიან და არ ეშველება საქმესო, ძირითადად მოსახლეობაშ ჭარმობს ნიჰილისტური დამოკიდებულება).

ყოველივე ამის შემდგომ საინტერესო იყო რესპოდენტების ინფორ-მირებულობის შემოწმება. გვაინტერესებდა თუ იცოდნენ, ან თუ სმენოდათ მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა პროგრამებზე. აღმოჩნდა, რომ 59%-მა იცის, ხოლო 40%-მა არ იცის არსებულ პროგრამების შესახებ. იმ 59%ს, ვინც იცის პროგრამების შესახებ, ვთხოვდით დაესახელებინათ პროგრამები, რომლის შესახებაც ქონდათ ინფორმაცია. გამოკითხულთა 42%-მა დაგვისახელა სოციალური დახმარების პროგრამები, 15%-მა სხვადასხვა სოციალური პროგრამები, 10%-მა ჯანდაცვის, 7% სწავლის დაფინანსების, 3-3 პროცენტმა სოფლის მეურნეობის, გზების, შშმ პირთა დახმარების და ქალაქის/სოფლის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის. ეკონომიკური პროგრამები დაგვისახელა 2%-მა. 2%-მა ვერ შეძლო რაიმე პროგრამის გახსენება. სხვა დაბალპროცენტიანი მაჩვენებლები შეგიძლიათ იხილოთ დანართ №1, დიაგრამა №23. გამომდინარე პროგრამების

მრავალფეროვნებიდან, საინტერესო იყო საინფორმაციო წყარო, საიდანაც იღებდნენ ინფორმაციას პროგრამების შესახებ. აღმოჩნდა, რომ რესპონ-დენტთა 30% იღებს ინფორმაიას მედიიდან, 26% – საზოგადოებისგან, 9-9% ინტერნეტიდან და მეგობრები/ნათესავებისგან, 8% – მეზობლებისგან. საერთო ჯამში თვითმართველი ორგანოებიდან გამოკითხულთა 9% იღებს ინფორმაციას, მაგრამ ეს არის ჯამი სხვადასხვა უწყებებისა. ჩაშლილი სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართ №1, დიაგრამა №25. ინტერვიუერები აქვე ეკითხებოდნენ ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების სისწრაფეზე, სადაც გამოვლინდა, რომ 40% საერთოდ ვერ იგებს პროგრამებზე ინფორმაციას (ანუ, როდესაც იგებს, უკვე ძალიან დაგვიანებულია ამ ინფორმაციის მიღება), 27% დროულად იგებს, 21% არც ისე დროულად, ხოლო 5-5 პროცენტი უკვე ბოლოს (როცა პროგრამა დასრულდა) ან ძალიან გვიან იგებს. პასუხის გაცემაზე უარი გვითხრა რესპონდენტთა 0,4%-მა. საინტერესო იყო თავად თუ იყვნენ ჩართულნი რაიმე სახის სახელმწიფო პროგრამაში. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 17% ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში, ხოლო 83% არ არის ჩართული. გამომდინარე პროგრამებში ჩართული რესპონდენტებიდან, უკვე ვეკითხებოდით პირადად რა პროგრამებში იყვნენ ჩართულნი. 51%-მა დაგვისახელა სოციალურად დაუცველობის პროგრამა, 33%-მა ჯანდაცვის, 3%-მა დევნლობის, 2% სოფლის მეურნეობის პროგრამების. თითო პროცენტით გვისახელებენ სხვადასხვა ათამდე პროგრამას რომელთა ნახვაც შეგიძლიათ დანართ №1, დიაგრამა №28 და №29.

რესპონდენტთა განტვირთვისა და ასევე ინტერვიუს დასრულების მიზნით უკვე შემოგვაქვს დემოგრაფიული ბლოკი, რომელსაც წინ უძღვის შეკითხვა საბანკო სესხთან დაკავშირებით, რითაც გვინდოდა რესპონდენ-ტთა ჩართულობა სხვადასხვა აგრო თუ ბიზნეს პროექტებში განგვესაზღვრა – ხდებოდა ეს სახელმწიფო ან საბანკო სექტორის ხელშეწყობით თუ პირადი რესურსებით. შესაბამისად რესპონდენტთა 52%-ს გააჩნია საბანკო სესხი, 7%-ს წარსულში ჰქონდა, ხოლო 42%-ს არ აქვს სესხი. პასუხზე უარი გვითხრა რესპონდენტთა 0,2%-მა.

გამოკითხულ რესპონდენტთა გენდერული განაწილოება იყო შემდეგი, ქალი 64%, კაცი 36%. ასეთი მაჩვენებელი განაპირობა ველზე ინტერვიუერების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპმა.

ასაკობრივ განაწილებას რაც შეეხება, 7-7 პროცენტი იყო18-24 და 25-

29 წლის ახალგაზრდები, 30–39 წლის – 20%, 40–49 წლის 23%, 50–59 წლის – 20%, 60–65 წლის – 14%, ხოლო 66 წლის და მეტის 8%. ასაკის საშუალო იყო 46,37 წელი, მედიანა 47, მოდა 48, ხოლო სტანდარტული გადახრა 14,4.

ოჯახის წევრთა შემადგენლობის მხრივ მოსახლეობის 28% შედგება 4 წევრიანი ოჯახებისაგან, 18–18 პოცენტი 3 და 5 წევრიანი ოჯახებისაგან, 13% – 6 წევრიანი, 9–9 პროცენტი 2 და 6–ზე მეტი ოჯახის წევრებისაგან, ხოლო 5% 1 წევრიანი ოჯახებისაგან. პასუხზე უარი განაცხადა 0,2%–მა.

დასაქმების მაჩვენებელს რაც შეეხება, გამოკითხულთა 53% არის დაუსაქმებელი, 34% – დასაქმებული რაიმე სახის სამსხურში, ხოლო 11% დასაქმებულია პირად მიწის ნაკვეთზე. უარი პასუხზე რესპონდენტთა 0,2%–მა განაცხადა.

უშუალოდ დასაქმებულების დასაქმების სტატუსს რაც შეეხება, 18% არის თვითდასაქმებული (არარეგისტრირებული), 13% – საჯარო სამსახურში, 12% – კერძო სექტორში, ხოლო 3% არის ინდივიდუალური მეწარმე. აქვე უმუშევარ რესპონდენტებს ვეკითხებოდით უმუშევრობის სტატუსსაც. გაირკვა, რომ მათი 28% არის დიასახლისი, 15% – პენსიონერი, 4% – სოციალური დაუცველის სტატუსის მქონე, 2% – სტუდენტი და 1% უმუშევარი მამაკაცი, უარი პასუხზე გვითხრა 4%–მა. აქვე საინტერსო იყო როგორია ოჯახებში დასაქმებულ პირთა გადანაწილება. ყველა რესპონდენტს ვუსვამდით ამ შეკითხვას. გამოკითხულთა ოჯახების 35% შემთხვევაში დასაქმებულია მხოლოდ 1 წევრი, 2 წევრი – 27%, 3 წევრი – 8%, ყველა სრულწლოვანი 0,4%, ხოლო არც ერთია დასაქმებული 30% შემთხვევაში.

რაც შეეხება უშუალოდ ოჯახების შემოსავალს, 15% აქვს 0–180 ლარი შემოსავალი, 16% – 181–300 ლარი, 21% – 301–500 ლარი, 13% – 501–800 ლარი, 11%–ს 801–1100 ლარი, ხოლო 4–4 პროცენტს 1101–1500 და 1501 ლარზე მეტი, 1%–ს კი სხვა კლასიფიცირების შემოსავალი აქვს.

- ფაქტორული ანალიზი

მუნიციპალური ამბებით დაინტერესება შეიმჩნევა სოფელსა და ქალაქს შორის და ეს 8%–იანი განსხვავებით სოფელში უფრო არიან დაინტერესებული ვიდრე ქალაქში.

საინტერესო განსხვავებაა მიღების წყაროებს შორის, სოფლის

მოსახლეობის 21%–ით მეტი იღებს რეგიონალური მედიიდან იფნორმაციას, ხოლო ქალაქის მოსახლეობის 17%–ით მეტი ინტერნეტ მედიის საშუალებით იღებს ინფორმაციას.

თვითმართველობაში საკუთარი მონაწილეობის უფლებების შესახებ ქალაქის მოსახლეობის 8%–ით მეტს უფრო აქვს ინფორმაცია ვიდრე სოფლის მოსახლეობისას.

მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით შეინიშნება განსხვავებები. აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობის 14%–ით მეტს სმენია დასახლების საერთო კრებაზე, ხოლო ქალაქის მოსახლეობის 14%–ს პეტიციის შეტანა/ხელმოწერაზე, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სოფელში 0%–ია, ხოლო ღია კარის შესახებ, ანუ მერიის ანგარიშების მოსმენაზე ქალაქის მოსახლეობის 22%–ით მეტს სმენია.

განსხვავებები შეინიშნება ასევე დასწრების თვალსაზრისით გარკვეულ აქტივობებზე. სოფლის მოსახლეობის 12%–ით მეტი მცხოვრები აღნიშნავს, რომ დასწრებია ანგარიშების მოსმენას, და ზოგადად საჯარო შეხვედრებს დასწრებია 16%–ით მეტი მაცხოვრებელი სოფლის მოსახლეობისა, ხოლო ქალაქის მოსახლეობის უპირატესობა 21%–იანი სოფლის მოსახლეობასთან შედარებით მხოლოდ იმაში გამოვლინდა, რომ აღნიშნავენ, არ ყოფილა არანაირი შეხვედრა.

უშუალოდ გახსენებულ თემატიკასთან დაკავშირებით შეინიშნება მცირე, მაგრამ მნიშნელოვანი განსხვავებები, მის მნიშვნელოვნებას კი განსაზღვრავს მეორე მხარის 0%–იანი ცნობადობა; მაშ ასე, სოფლის მოსახლეობის 10% გაახსენდა სოც. პრობლემები, გზების რეაბილი–ტაციასთან დაკავშირებით სოფლის მოსახლეობის 22%–ით მეტს გაახსენდა შეხვედრის თემა, ასევე 28%–ით მეტს გაახსენდა წყლის გაყვანილობაზე და გაზიფიცირებაზე ასევე 13% მხოლოდ სოფელში იყო შეხვედრები. ქალაქს რაც შეეხება მხოლოდ აქ იყო შეხვედრის თემატიკა სკვერების კეთილ–მოწყობისა და ინიციატივების პრეზენტაციის შესახებ შეხვედრები

საჯარო ინფორმაციის გამოსათხოვად მიმართვიანობაში ძირითადად მაჩვენებელები ერთნაირია სოფელი – ქალაქის მიხედვით და მხოლოდ ქალაქი აღემატება 28%–ით სოფელს პირადი საჭიროების მქონე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიღების კმაყოილებით შეფასებაში განსხვავება ისაა, რომ ქალაქის მოსახლეობის 11%–ით მეტი საშუალოდ აფასებს კმაყოფილების ხარისხს და ანალოგიური პროცენტული უპირატესობით უკვე სოფელია წინ ,,ძალიან უკმაყოფილობის" მხრივ.

საკრებულოს სხდომებზე დასწრების სურვილს რაც შეეხება, აქ ძირითადად ქალაქის მოსახლეობას გაცილებით მეტად აქვს სურვილი იცოდეს მათი მუშაობის შესახებ, ანუ ინტერესი აქვს ნახოს რას აკეთებენ სხდომების დროს და როგორ გეგმავენ პროგრამებს.

საინტერესო ფაქტი გამოვლინა ის, რომ სოფლის მოსახლეობის 16%–ით მეტს აქვს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებულ პროგრამებზე, ვიდრე ქალაქის მოსახლეობას.

მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება ასევე სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ ინფორმაციის ქონაზე, სადაც ქალაქის მოსახლეობაზე 16%–ით მეტი ინფორმაცია აქვს სოფლის მაცხოვრებლებს. ხოლო სოციალურ პროგრამებზე 19%–ით მეტი ინფორმაცია აქვთ სოფლის მოსახლეობას, სადაც სავარაუდოდ ისინი გულისხმობენ კომბინირებულ პროგრამებს – სოც. დახმარების, ჯანდაცვის, ერთჯერადი დახმარების, უპოვართა გამოკვების და ა.შ.

ინფორმაციის მიღებას რაც შეეხება, სოფლის მცხოვრებნი ძრითადად ხალხისგან, თანასოფლელებისაგან იღებენ ინფორმაციას და მედიის საშუალებით, ხოლო ქალაქის მოსახლეობის შედარებით მეტი ნაწილი ნათესავებისა და ინტერნეტის საშუალებით იღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებულ პროგრამებზე. აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სოფლის მოსახლეობაში ინფორმაციის მიღების კუთხით მედიას აქვს დიდი როლი, რადგან 44%–ია მედიით ინფორმაციის მიღება.

ინფორმაციის გავრცელების კუთხით საკმაოდ საინტერესო ფენომენი დაფიქსირდა ასევე სოფელი–ქალაქის შედარებისას, სადაც ნათლად იკვეთება რომ ინფორმაციის დროულად შეტყობინება ქალაქის მოსახლეობაში 16%–ით ნაკლებია სოფელთან მიმართებაში და 14%–ით მეტია ქალაქში ასევე ინფორმაციის საერთოდ ვერ გაგების მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ სოფელი უფრო დროულად იღებს ინფორმაციას პროგრამების შესახებ და გაცილებით დროულად ვიდრე ქალაქის მოსახლეობა.

უშუალოდ მუნიციპალურ პროგრამაში ჩართულობის მხრივ,

საინტერესო მაჩვენებელი მივიღეთ, კერძოდ ქალაქის მოსახლეობის 42%-ით მეტი უფრო ჩართულია ჯანდაცვის პროგრამებში, ხოლო სოფლის მოსახლეობის 50%-ით მეტი ჩართულია სოციალური დახმარებების პროექტში. ეს ფაქტი თავისთავად ამყარებს კვლევაში გამოვლენილ ფაქტს, რომ სოფელში დასაქმების მაჩვენბელი გაცილებით დაბალია, რაც ასევე შესაბამისობაში მოდის სხვა კვლევის შედეგებთან, და ასევე ქალაქში სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვიანობა გაცილებით მაღალია სოფელთან შედარებთ, რასაც ბოლო კვლევები ამტკიცებენ[19], შესაბამისად სამედიცინო პროგრამაში ჩართვის მიზნით ქალაქის მოსახლეობას უფრო ხშირი მიმართვიანობა და ჩართულობა აქვს, ვიდრე სოფლის მოსახლეობას.

ოჯახში წევრების რაოდენობის მხრივ საკმაოდ საინტერესო განსხვავება შეინიშნება ქალაქსა და სოფელს შორის, სადაც ქალაქში სოფელთან მიმართებაში და 3-4 წევრიანი ოჯახების რაოდენობა 11-7%-ით მეტია სოფელთან შედარებით. თუმცა შედარებით დიდი ზომის ოჯახების წილი უკვე სოფელშია მაღალი ქალაქთან მიმართებაში 7 და მეტ წევრიანი ოჯახების 10%-ით მეტი მაჩვენებელი გვხვდება ქალაქში.

დასაქმების სტატუსში 17%-იანი სხვაობა გვაქვს ქალაქში სოფელთან მიმართებაში, ხოლო სოფელი თავისთავად წინ არის მიწის ნაკვეთზე დასაქმებულობის თვალსაზრისით და 22%-ია პირად მიწის ნაკვეთზე დასაქმებულობა, ხოლო ქალაქში 1%.

გამომდინარე ქალაქში დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებლიდან, დასაქმების სტატუსებშიც არის განსხვავება და ქალაქის მოსახლეობის 12%-ით მეტია დასაქმებული საჯარო, ხოლო 15%-ით მეტი კერძო სექტორებში. ასევე მცირე მეტობა 8% გვაქვს ინდმეწარმედ (თვითდასაქმებული) დასაქმების თვალსაზრისით. სოფლის მოსახლეობის დასაქმებულობა მხოლოდ ერთ კომპონენტში და ძალიან შესამჩნევად სჯობნის არარეგისტრირებულად თვითდასაქმებაში და აქ 28%-იანი სხვაობაა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის.

დაუსაქმებლობასთან დაკავშირებით მცირედით მეტია სოფლის პირობებში ქალთა დაუსაქმებლობა ქალაქთან შედარებით უარი პასუხზე 9%-ით მეტმა გვითხრა სოფელთან შედარებით.

[19] კავკასიის ბარომეტრი 2013 წელი

ოჯახში დასაქმებულთა რაოდენობის კუთხით გამოვლინდა საინტე-რესო განსხვავებები ასევე ქალაქსა და სოფელს შორის და აღსანიშნავია, რომ 22%-ით მეტია ქალაქში ოჯახიდან 2 წევრის დასაქმებულობა სოფელთან შედარებით, ხოლო არც ერთი წევრის დასაქმებულობის კუთხით უკვე ლიდერობს სოფელი სადაც უმუშევართა წილი 24%-ით მეტია.

ძალიან საინტერესო განსხვავებები შეინიშნება შემოსავლების თვალსაზრისით და ნათლად გვიჩვენებს ქალაქის უპირატესობას სოფელთან შედარებით; დაბალ შემოსავლებში, 0-300 ლარებში სოფელში 21%-ით მეტია მაჩვენებელი ქალაქთან შედარებით, ხოლო 501 ლარიდან ქალაქი მცირე მაჩვენებლებით წინ უსწრებს სოფელს და 801 ლარიდან უკვე შესამჩნევი სხვაობით უსწრებს სოფელს შემოსავლებში. შესაბამისად უნდა ითქვას, რომ ქალაქში შემოსავალი უფრო მაღალია ვიდრე სოფელში. ეს ლოგიკურადაც გამომდინარეობს დასაქმებულობის უპირატესობიდანაც, მაგრამ ვერ ვუგულვებელყოფთ იმ ფაქტსაც, რომ ქალაქში უფრო მაღალია შემოსავლები, ვიდრე სოფელში.

რაოდენობრივმა კვლევამ საკმაოდ საინტერესო შედეგი მოგვცა თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგის თვალსაზრისით. მართალია დიდი განსხვავება რაოდენობრივ კვლევასა და ფოკუს ჯგუფის შედეგებთან არ ყოფილა, მაგრამ აღნიშნულმა კვლევამ მოგვცა შედეგების გაზომვისა და პროცენტებში გამოსახვის საშუალება. მიღებული შედეგები სტატისტიკური მონაცემების საშუალებით საკმაოდ საინტერესო სანახავია და აღსაქმელად უფრო მკაფიო და ზუსტ სურათს გვიჩვენებს. მიუხედვად იმისა, რომ მიღებული შედეგები არ არის კარგი და აჩვენებს რიგ გამოწვევებსა და პრობლემებს საზოგადოებასთან სიახლოვის კუთიხთ, უნდა ითქვას, რომ მაინც შეიმჩნევა პოზიტიური ცვლილებები გასული წლის კვლევებთან შედარებით. თვითმართეობის რეფორმა საკმაოდ ახალგაზრდაა და არც არავის ექნება იმის ილუზია, რომ ის საკმაოდ გამართულად იმუშავებს, მიუხედავად ბოლო ოთხი წლის მანძილზე ორი განსხვავებული სახის რეფორმის გატარების შემდგომ. მიუხედავად ამისა გასული წლების კვლევებთან შედარებით გაზრდილია ინფორმაციის გავრცელება მოსახლეობაში, მედიის ჩართულობა და მედიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში. გასული წლების

კვლევებთან[20] შედარებით ინტერნეტ მედიის გამოყენება თითქმის გაორმაგებულია, ხოლო მუნიციპალიტეტის მუშაობა ონლაინ პლატფორმის საშუალებით აქტიურად მიმდინარეობს, რასაც ადასტურებდნენ რესპონდენტები,როგორც ფოკუს ჯგუფების დროს, ასევე კვლევაში დაფიქსირებული პროცენტული მაჩვენებლები და მნიშვნელოვნად არის ეს მახასიათებელი გაუმჯობესებული გასული წლების მაჩვენებლებთან. მოსახლეობა საკმაოდ განიცდის ფიზიკური სიახლოვის ნაკლებობას თვითმართველობასთან, რაც მათში გაცილებით მეტად აღვივებს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საჯარო უწყებებისადმი და მათი მონაწილეობის მნიშვნელოვნობაზე თვითმართველობაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად რეფორმების ტალღებისა, საზოგადოებამ ნაკლებად იცის საკუთარი უფლებების შესახებ თვითმართველობასთან მიმართებაში და ეს განსაკუთრებით შეინიშნება ჩართულობა, მონაწილეობა და ინფორმირებულობის თვალსაზრისით. კვლევისას ხშირი იყო ღია კითხვებში ისეთი სახის პასუხების დაფიქსირება რაც ადგილობრივ თვითმართველობას არ ეხებოდა, ან საერთოდ სხვა უწყების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს მიეკუთვნებოდა, ასევე ინფორმაციის გამოთხოვის მხრივ ხშირად ერეოდათ თვითმართველობა და სხვა საჯარო უწყებები და ა.შ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებასთან მოხდეს გარკვეული პერიოდულობით შეხვედრა მათი ცნობიერების ამაღლების კუთხით და მიეწოდოთ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. მიგვაჩნია, რომ პირველ რიგში სწორედ ის სამი ინდიკატორი, რის შესწავლასაც მიეძღვნა კვლოევა არის უფრო ახლოს მდგომი ყველა საკითხთან და მთავარი საბაზისო საფეხურებია ღრმა ცოდნისკენ გასაკვალად. ჩართულობისა და მონაწილეობის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და თავად ინფორმირებულობის გზების შესახებ ცნობიერების ამაღლება გამოიწვევს მეტ მოტივაციას, გარკვეულობას და დახმარებას როგორც საზოგადოებისათვის, ასევე თვითმართველობისათვის, რადგან როდესაც არსებობს ორმხრივი ცოდნა,

[20] ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება:
,,საბიუჯეტო პრიორიტეტების კვლევა 2015“
,,საბიუჯეტო პრიორიტეტების კვლევა 2016“
საზოგადოება ბილიკი – ..მუნიციპალიტეტი on-line სივრცეში“

პრობლემის მოგვარებისთვის იქნება ეს თუ უკეთესი მმართველობისთვის, ან მასში ჩასართავად, უფრო ეფექტური გამოდის ორმხრივი კომუნიკაცია და მუნიციპალიტეტში დემოკრატიული პროცესების განვითარების ხელშეწყობისთვის სწორედაც, რომ ეფექტური გზა და საშუალებაა. რაოდენობრივი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:

- გაიზარდოს რეგიონალური მედიის როლი თვითმართველობის საქმიანობაში
- გაიზარდოს ურთიერთთანამშრომლობა რეგიონალურ მედიასა და მუნიციპალიტეტს შორის;
- გაუმჯობესდეს სოციალური მედიის ათვისებისა და გამოყენების მეთოდები მუნიციპალიტეტის მხრიდან;
- გაიზარდოს მოქალაქეთა ცნობიერება თვითმართველობაში საკუთარი მონაწილეობის უფლებების შესახებ;
- გაიზარდოს ფიზიკური კონტაქტი თვითმართველობასა და საზოგადებას შორის;
- თემებში დაგეგმილ შეხვედრებთან დაკავშირებით საზოგადოებას დროულად მიეწოდოს ინფორმაცია;
- ინფორმაციის პროაქტიურად გავრცელება.

❖ სიღრმისეული კვლევის ანალიზი

პროექტ ,,თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი"-ს ფარგლებში რიგით მესამე კვლევა ჩატარდა რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტებთან სიღრმისეული კვლევის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული კვლევა გარდა საზოგადოებასთან სიახლოვისა მონიტორინგს უწევდა 2014-2021 წლების რეგიონალური სტრატეგიის განვითარების დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია, ხედვები და ამოცანები. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა შიდა ქართლში, კერძოდ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტებთან, კომპანიების დირექტორებთან და/ან დამფუძნებლებთან. კვლევის

ფარგლებში გამოიკითხა ოცზე მეტი რესპონდენტი შიდა ქართლში, რაც სავსებით საკმარისია ერთიანი სურათის დასანახად, რადგან კვლევისას ინტერვიუში უკვე ვხვდებოდით საერთო და მსგავს პრობლემებს ბიზნეს სუბიექტებთან და ათი ინტერიუს ჩაწერის შემდგომ ფაქტიურად სურათი იყო მსგავსი და საერთო მეწარმეებისათვის, მიუხედავად მათი სამეწარმეო სახის განსხვავებებისა.

სიღრმისეული კვლევის მეთოდი არ იძლევა საშუალებას სტრუქტურირებულად წინასწარ შედგენილი კითხვარის საშუალებით მივყვეთ ინტერვიუს, რადგან თავად სიტყვიდანაც ჩანს, რომ ინტერვიუ არის საკმაოდ ღრმა ინფორმაციის მომცემი, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მკვევარმა დაუსვას დამატებითი დამაზუსტებელი შეკითხვები რესპონდენტს და უფრო მეტი ინფორმაცია შეიტყოს მისგან. კვლევის კითხვარი დაიხვეწა წინასწარ ჩატარებული ორი კვლევის – ფოკუს ჯგუფებისა და რაოდენობრივი კვლევის – საშუალებით, რამაც მოგვცა ინტერვიუს სტრუქტურის გამართულად შემუშავების საშუალება. მიუხედავად სიღრმისეული ინტერვიუს მოცულობითი სამუშაო დროისა, უნდა ითქვას, რომ ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 10–15 წუთს. აღნიშნული დრო სიღრმისეული კვლევისათვის საკმაოდ მცირეა და ნამდვილად მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მის რეალურ ხანგრძლივობას, მაგრამ ამ შემთხვევაში მკვლევარები იყვნენ უძლურნი. მაქსიმალური დრო რაც დაფიქსირდა შეადგენდა ოც წუთს. ინტერვიუს ხანგრძლივობა გამოწვეული იყო შედარებით გათვითცნობიერებულ პირთან შეხვედრით. რესპონდენტებს როგორც თვითმართველობასთან სიახლოვის, ასევე შიდა ქართლის 2014–2021 წლების განივთარების სტრატეგიასთან მიმართებაში არ ჰქონდათ სრული და ამომწურავი ინფორმაცია. მკვლევარს ხშირად უხდებოდა (ინტერვიუს შემდგომ) არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესახებ განმარტებების მიცემა. შესაბამისად ინფორმაციის არ ქონის გამო, ინტერვიუ მის სტანდარტთან შედარებით ,,საკმაოდ მცირე“ გამოვიდა, თუმცა მიღებული შედეგი მაქსიმალური სიზუსტით გვიჩვენებს რეგიონში არსებულ მდგომარეობასა და სურათს ბიზნეს სუბიექტებთან მიმართებაში. წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს:

კვლევის განმავლობაში ხდებოდა ბიზნეს სუბიექტების სამუშაო სფეროს კლასიფიცირება. აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტი ამ მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ იწარმოება როგორც ხეხილი, ასევე ბოსტნეული, კენკროვანები, თევზეული, სახორცე ნედლი – ქათამი, ღორი, საქონელი, რძე, გაზირებული და ნატურალური წვენები, საწებლები, მარინადები და კონსერვირებული პროდუქტი. მრავალფეროვნებით აშკარად გამოირჩევა ადგილობრივი წარმოების სფერო. მიუხედავად ამისა, როგორც ოკუპირებული რეგიონის მოსაზღვრე და თავად მცოცავი ოკუპაციის მსხვერპლი რეგიონი, მაინც მცირედაა წარმოდგენილი მეწარმეთა რიცხვით. ამასთან, სოციალური ფონიც საკმაოდ მძიმეა, რაზეც მოწმობენ თავად ინტერვიუები. უმთავრეს პრობლემად გვისახელებენ წარმოებული საქონლის დაბალ რეალიზაციას. ამ საკითხს ოდნავ მოგვიანებით შევეხებით. მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობაზე საუბრისას მეწარმეები იაფ აგრო კრედიტსა და ,,დანერგე მომავალი"–ს პროგრამებს გვისახელებენ. თუმცა, უმეტესწილად ინფორმაციის მიმღებ ორგანოდ უფრო ხშირად მიუთითებდნენ საზოგადოებას, ვიდრე მუნიციპალიტეტის თვითმართველობის რომელიმე ორგანოს ან სახელმწიფო სექტორს. მიუხედავად ამისა, რამოდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა მუნიციპალიტეტიდან და სახელმწიფო სექტორიდან ამ მხრვ ინფორმაციის მიღებისა, ასევე რამდენიმე შემთხვევაში იყო მედიის როლიც (როგორც ტელევიზიის ასევე ინტერნეტის). ბანკის როლი გაცილებით მაღალი აღმოჩნდა დასახელებულ საინფორმაციო წყაროებთან მიმართებაში, თუმცა, რამოდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა როდესაც ბანკმა არ მიაწოდა ინფორმაცია იაფი აგრო კრედიტის შესახებ მეწარმეს და მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ბანკმა სესხის საჭიროების მიზანი, პირადი სარგებლის გამო არ შესთავაზა იაფი აგრო კრედიტი. რაც შეეხება უცხოურ გრანტებს, კვლევის განმავლობაში აქაც მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა გრანტის მიღების და აღნიშნულზეც ძალიან მწირი ინფორმაცია მოგვაწოდეს რესპონდენტებმა.

ბიზნეს სუბიექტების მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის და კომუნიკაციის შემთხვევები ფაქტიურად არ გვაქვს, მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა გვითხრა, რომ თვითმართველობიდან შეხვედრებთან, კონსულტაციებთან დაკავშირებით დაურეკეს, მაგრამ ამას მასიური სახე არ

ჰქონია და ესეც მხოლოდ ცალკეული შემთხვევა იყო. ერთ–ერთი ინტერვიუსას რესპონდენტმა ისაუბრა ნეპოტიზმის შესახებ და აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთიდაიგივე პირებს ეძახიან შეხვედრებზე და რატომღაც სახელმწიფო სუბსიდიებისა და სერვისებით სარგებლობის მხრივადაც ერთიდაიგივე პიროვნებები ჩანან, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მიუმართავს რამდენჯერმე და გამოუთქვამს სურვილი თავადაც დასწრებოდა მსგავს აქტივობებს. როგორც კვლევამ გვიჩვენა თვითმართველობასთან ურთიერთობა მეწარმეებს აქვთ მხოლოდ მიწის საკუთრების გაფორმების დროს, ესეც იმ შემთხვევაში თუ არ აქვთ გაფორმებული კანონის შესაბამისად. ცენტრალურ ხელისუფლებას რაც შეეხება, მეწარმეები აღნიშნავენ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან პერიოდულად მიდის მათთან კომისია და ამოწმებს ბიზნესის მიმდინარეობას. საინტერესო იყო თავად ბიზნეს სუბიექტებისგან მათ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა. მხოლოდ 1/3 თუ აქვს მსგავსი გამოცდილება და მათმა ნაწილმა აღნიშნა, რომ კიდევაც მიიღეს ხარისხიანი ინფორმაცია. საინფორმაციო ბუკლეტებით, ასევე პერიოდულად სატელეფონო საუბრის მეშვეობით ატყობინებენ ხოლმე გარკვეულ ინფორმაციას. რესპონდენტებთან იყო საუბარი მათი წარმოების პოპულარიზაციაზე, თუნდაც რეგიონალურ დონეზე. აქ ვგულისხმობდით მათ მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებში, გამოფენებსა და ეროვნულ დღესასწაულებში. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხში არ ყოფილა არანაირი შეთავაზება ცენტრალური ხელისუფლებისაგან. აღნიშნული მეწარმეებისათვის გამოფენებში მონაწილეობა რეგიონის მასშტაბით სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც არის შესაძლებელი და ინტერვიუს ამ ნაწილში ყოველთვის იმედიანად გამოთქვამდნენ მზაობას მეწარმეები მონაწილეობის მიღებაზე, რადგან საკუთარი სამუშაო პროცესისა და წარმოების პოპულარიზაციისთვის ეფექტურ გზად მიაჩნიათ მსგავსი აქტივობები რეგიონში.

2014–2021 წლების შიდა ქართლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის ცნობადობასა და მის შესახებ ინფორმაციას რაც შეეხება, ბიზნეს სექტორში საკმაოდ დაბალია და მათ ვისაც აქვს ინფორმაცია, ისიც ძალიან მწირი. ფაქტიურად რესპონდენტების ½ არ იცის და არც სმენია ზემოთ ხსენებული დოკუმენტის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულ პროგრამებში არიან

ჩართულნი და ზოგიერთი მათგანი რამოდენიმე პროგრამაშიც კი არის ერთდროულად ჩართული. იმ მეორე ნახევართან, რომელსაც აქვს ინფორმაცია სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტის შესახებ, ასევე ზედმეტია საუბარი ყველა მიმართულების მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მათ აქვთ ინფორმაცია მხოლოდ საკუთარი მიმართულებების შესახებ. ეს უკანასკნელი ინფორმაციაც საკმაოდ მწირია და შემოიფარგლება მხოლოდ არსებული პროგრამებით და არა ინდიკატორების ან ამოცანების ცოდნით.

რაც შეეხება უშულოდ პრობლემებს ბიზნეს სუბიექტებთან, ისინი საკმაოდ მრავალფეროვანია. სიმწვავე ჰქონდა ვალუტის ცვლილებას, რამაც მათი დაბალპროცენტიანი ან უპროცენტო სესხი საკმაოდ მაღალპროცენტიანი გახადა და ის შეღავათი რითიც სარგებლობდნენ გადაფარა აღნიშნულმა ცვლილებამ. ამ ყველაფერმა შეაფერხა მათი ბიზნესის განვითარება და იმავდროულად ეკონომიკური სარგებლიანობა მნიშვნელოვნად შეამცირა. სხვა ძირითად პრობლემებზე საუბრისას გამოიკვეთა პროდუქციის რელიზების პრობლემა, რომელიც წლებია დგას ქართველი ფერმერების წინაშე. მეწარმეები პროგრამ(ებ)ის შეფასებისას ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ პროგრამა არის საკმაოდ კარგი და ეფექტური, თუნდაც იაფი აგრო კრედიტი, დანერგე მომავალი და სხვა სახის პროგრამები. მეორეს მხრივ პროგრამის ამ ეფექტურობას აფერხებს და ფარავს გასაღების ბაზარი, რომელიც საკმაოდ დაბალია. ფაქტიურად ძალიან მცირე ეკონომიკურ სარგებელს ნახულობენ. ხშირია მოსავლის დაზიანების შემთხვევები, როგორც ბუნების, ასევე შხამ ქიმიკატების დაბალი ეფექტურობის გამო. გასაღების ბაზარი დასახელდა ყველა სუბიექტთან მთავარ და ძირითად პრობლემად, რადგან მათი საუბრიდან გამომდინარე ეშველება ყველა პრობლემას თუ რეალიზება იქნება მაღალ დონეზე ორგანიზებული. მებაღეებისა და ზოგადად მიწაზე მომყვანი მეწარმე ფერმერებში ძალიან მწვავედ დგას უხარისხო მცენარეთა მოვლის საშუალებები. როგორც მათი საუბრიდან ირკვევა, საკმაოდ დაბალი ეფექტი აქვს სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს როგორც მათ მოსავალს, ასევე მათ ბიუჯეტს. რაც შეეხება მეფრინველეობის, მეცხოველეობისა და მეთევზეობის სექტორში მომუშავე მეწარმეებს, აქ მნიშვნელოვან პრობლემად, რა თქმა უნდა დგას

ასევე რეალიზაციის პრობლემა, მაგრამ განსხვავებით მეხილეობისაგან აღნიშნავენ, რომ ძალიან მცირეა მცოდნე კადრების რაოდენობა საქართველოში (სახელდობრ, ცოდნა პირუტყვის მოვლისა, დაავადებებთან ბრძოლის ეფექტური უნარ–ჩვევები). არ არსებობს შესაბამისი კვლევითი ლაბორატორიები, სადაც შეისწავლიდნენ არსებულ დაავადებებს და მასთან ეფექტური ბრძოლის მეთოდებს შესთავაზებდნენ მეწარმეებს. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მეთევზებთან, სადაც თევზის ხოცვადობა და დაავადება ფაქტიურად 50%–ს უტოლდება და ხშირ შემთხვევაში აჭარბებს კიდეც აღნიშნულ მაჩვენებელს, რაც ყველა მეთევზემ დაგვიდასტურა საკუთარ ინტერვიუში. მათთან ასევე მწვავედ იკვეთება თევზის საკვები დანამატების სიძვირე, მისი დაბალი ეფექტურობა. ზოგადად აღნიშნულ წარმოებაში, მეწარმეები ასახელებენ დაბალ სარეალიზაციო ფასს, რაც საკმაოდ უქმნის მათ ბიზნეს პრობლემებს და აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში უწევთ მუშახელის შემცირება 2/3 – ით, რადგან ვერ ახერხებენ მათთვის შესაბამისი შრომის ანაზღაურების მიცემას. ეს ყოველივე კი გამომდიარეობს იქიდან, რომ მთლიანად მათი პროდუქციის მიმღები საშუალებები არის იმპორტირებული და შესასყიდი ფასი საკმაოდ მაღალია, შესაბამისად საქონლის რელიზაციის დაბალი ფასი ვერ ახდენს ბალანსირებას ყიდვა–გაყიდვას შორის.

აღნიშნულ საკითხებზე საუბრისას რესპონდენტებს თავადვე ვთხოვ–დით შემოეთავაზებინათ რეკომენდაციები, რჩევები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემების მოგვარება და სახელ–მწიფოს ჩართულობის ხელშეწყობა მათი წარმოების ეფექტურობის გასა–ზრდელად, ან თავად თვითმართველობასთან სიახლოვის კუთხით, სტრა–ტეგული განვითარების გეგმის მიხედვით და არსებული პროგრამებიდან გამომდინარე. გთავაზობთ რეკომენდაციების ჩამონათვალს, რომელიც მოწოდებულია თავად რესპონდენტების მიერ და ასევე შემუშავებულია მათი პასუხებიდან გამომდიარე:

- გაიზარდოს მეწარმეების დახმარების პროგრამები, ბიზნესის გაფართოების თვალსაზრისით;
- დაიხვეწოს იაფი სესხის პროგრამა და გახდეს უფრო ხელმისაწვდომი მცირე მეწარმეებისთვისაც;
- სესხზე საშეღავათო პერიოდის გაზრდა პრობლემურ სიტუაციაში;

- მეწარმეების ცოდნის დონის გაზრდა სხვადასხვა წარმოებული ნე–დლეულის მოვლა–პატრონობის, შენახვის პირობებთან დაკავ–შირებით;
- ბიზნესთან დაკავშირებით კონსულტაციების გავლა, პროდუქციის ხარისხის გასაზრდელად და დასახვეწად;
- გლეხამდე სოფლის განვითარების პროგრამების მიტანა და ხელმისაწვდომობა, სტარტეგიული განვითარების გეგმის გაცნობა;
- უმეთვალყურეო პირუტყვისგან ზარალის მიყენების პრევენცია;
- საჩვენებელი/სადემონსტრაციო ტურისტული სერვისების შექმნა;
- შიდა პროდუქტის გაზრდა, ექსპორტის ზრდა და იმპორტის შემცირება;
- სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა;
- სარეალიზაციო ბაზრისა და ჩამბარებელი პუნქტების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- აგრო დაზღვევის პირობების გაუმჯობესება;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართების ხელმისაწვ–დომ ფასად გადაცემა მეწარმეებისათვის და სტარტაპებისთვის;
- ადგილობრივი პროდუქციის რეალიზების ზრდა, როგორც შიდა ასევე ექსპორტის ბაზრებზე;
- დაწესდეს ხარისხის კონტროლი შხამ–ქიმიკატებზე, ვეტერინარულ მედიკამენტებსა და საკვებ დანამატებზე;
- იმპორტირებული პროდუქციის შეძენა/რელიზება ხდებოდეს ეროვნულ ვალუტაში;

აქვე გთავაზობთ მკვლევარების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს კვლევის შედეგებიდან გამომდინარე:

- ახალრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტებს გააცნონ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი და შესათავაზონ კონსულტაციები, თუნდაც წელიწადში ერთხელ.
- კვლევითი ლაბორატორიების შექმნა მეთევზეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობის სფეროში დავადებებთან ეფექტური ბრძოლის თვალსაზრისით.
- გაიზარდოს ყურადღება თვითმართველობის მხრიდან რეგიონალურ ბიზნეს სუბიექტებთან, მათთან სიახლოვის თვალსაზრისით.

- მოხდეს ადგლობრივი წარმოების პოპულარიზაცია, გამოფენების მეშვეობით ეროვნულ დღესასწაულებზე.
- ხელი შეუწყონ საინვესტიციო ბაზრის განვითარებას რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების კუთხით.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას ის, რომ მნიშვნელოვანია თვითმართველობის ბიზნეს სექტორთან სიახლოვის გაზრდა, მათთვის ელემენტარული ყურადღების დათმობა, თუნდაც არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ეროვნულ დღესასწაულებში მათი ჩართვა და შესაბამისი საგამოფენო/საგაყიდო სივრცეების მოწყობა, რაც მეტად მიმზიდველსა და მნიშვნელოვანს გახდის ეროვნულ დღესასწაულებს რეგიონში. რეგიონალური დღესასწაულები ყველა მუნიციპალიტეტში აღინიშნება და მეტად ეფექტური იქნება ამ დღესასწაულებში ბიზნეს სექტორის ჩართვა. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს რაც შეეხება, კარგი იქნება ხელისუფლების ან თუნდაც თვითმართველობის მხრიდან წელიწადში ერთხელ, ახალრეგისტრირებულ სუბიექტებთან ხდებოდეს შეხვედრა და მათთვის აღნიშნული დოკუმენტის, გამოწვევებისა და პრიორიტეტების გაცნობა. ეს საკმაოდ დადებითად იმუშავებს და შესაძლებელი გახდება სხვა მიმართულებებზეც აქცენტის გაკეთება. თვითმართველობა ერთ–ერთი პასუხისმგებელი ორგანოა სტრატეგიული განვითარების გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ძალზედ გულდასაწყვეტია, როცა რეგისტრირებულ მეწარმეთა ნახევარმა არ იცის აღნიშნული დოკუმენტის, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ხოლო თვითმართველობა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ახდენს სიახლოვეს მეწარმეებთან. საქმის ვითარება ასეთია: რეალურად არსებობს დოკუმენტი და პროგრამები, რომელთანაც შესაბამისობაში მუშაობენ ინდმეწარმეები. თუმცა, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, მას თავად ინდმეწარმეები არ იცნობენ. შესაძლებელია, მათ ურჩიონ, დაუსაბუთონ, რამდენად უსარგებლოა გარკვეული პროდუქციის ჭარბი რაოდენობით წარმოება. შესთავაზონ ალტერნატიული, მომგებიანი სახეობის მოყვანა. ეს საკითხი კონტროლზე არაა აყვანილი, ანუ ბიზნეს კონსულტირება. შედეგად კი ბაზარზე მიღეული პროდუქციის რეალიზება მნიშვნელოვნად ფერხდება. როგორც კვლევისას ერთერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, მხოლოდ იმ პირებთან აქვთ თვითმმართელობის წარმომადგნელებს კონტაქტი, ვისაც

გარკვეული კავშირები აქვს გადაწყვეტილების მქონე პირებთან. აღმოჩნდა, რომ საბოლოო ჯამში მხოლოდ ეს პიროვნებები იღებენ შესაბამის სუბსიდიებსა და საჭირო სერვისებს უფასოდ. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე ყველაზე მთავარი და აუცილებელი არის ეფექტური სარეალიზაციო ბაზრის შექმნა; რეალიზაციის რეალური საბაზრო ფასის დარეგულირება; უნდა დაბალანსდეს სავაჭრო სისტემა და ეკონომიკური წინსვლის შესაძლებლობა მიეცეს როგორც ქვეყანას, ასევე მეწარმეებს, რაც თავისთავად გამოიწვევს რეგიონსა და მთლიანად ქვეყანაში სამუშაო ადგილების ზრდას და ეკონომიკურ–სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

❖ კვლევების შეჯამება

მთლიანად, სამივე კვლევა რომ შევაჯამოთ და ის შედეგები რაც გვიჩვენა კვლევამ, საკმაოდ მოცულობით პრობლემებსა და ცავარდნებს შევხვდებით საზოგადოებასთან სიახლოვის კუთხით, რომელშიც იგულისხმება სამი ინდიკატორი, ჩართულობა, მონაწილეობა და ინფორმირებულობა. მიუხედავად იმ პოზიტიური ცვლილებისა, რაც მდგომარეობს გასული წლის კვლევებთან შედარებისას გაუმჯობესებულ სტატისტიკურ მონაცემებს, მაინც რჩება გამოწვევად საზოგადოებასთან სიახლოვის კარგი მაჩვენებლის ჩვენება. გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია ინტერნეტ პლატფორმის ათვისება და ინფორმაციის გავრცელება, ხოლო თავად საზოგადოების მხრიდან მოხმარების მაჩვენებელი გაორმაგებულია, ასევე გაუმჯობესებულია ცნობადობა მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების შესახებ, რაც გასული წლების სტატისტიკურ მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება[21]. მიუხედავად ამ გაუმჯობესებისა, კვლავ გამოწვევად რჩება მსახლეობის უშუალოდჩართულობა დაგეგმილ ღონისძიებებში, არამხოლოდ მაურებლის, არამედ მონაწილეობის თვალსაზრისით, კვლავ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებასთან ფიზიკური სიახლოვის ნაკლებობა და გადაწყვეტილების მირების პროცესში მათი ჩართულობა, რაც იწვევს საზოგადოებაში ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

[21] ტექსტში საუბარია ,,ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება"–ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები გორის მუნიციპალიტეტში 2015,2016 და 2017 წლებში. ასევე იგულისხმება საზოგადოება ბილიკის მიერ განხორციელებული კვლევა გორის მუნიციპალიტეტში.

კვლევამ მძაფრად გვიჩვენა საჯარო ინფორმაციის გამოტხოვასთან დაკავშირებით არსებული მცდარი სტერეოტიპები და ასევე არასწორი მიმართვიანობის პრაქტიკა მოსახლეობაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საჭიროებს თვითმართველობისგან სწორი ნაბიჯების გადადგმას, რომ გაიზარდს მოსახლეობის ცნობიერება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მხრივ და ზოგადად საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებისთვის, ფიციალური წერილით, ან განცხადებით მიმართვიანობის შესახებ. პასუხის დაგვიანების, ან არ მისვლის შედეგზე კი სათანადო რეგირების გზების ცოდნა. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობაში თვითმართველობის ნდობის გაზრდას, დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესებას და ნაკლები სოციალური პრობლემების არსებობას საზოგადოებაში, რაც მხოლოდ სიტყვიერი საუბრთ ვერ გვარდება და არმიმართვიანობით არც ზემდგომი ორგანოები ,,იწუხებენ“ თავს.

დასკვნის ბოლოს მნიშვნელოვანია აღინიშნოს და ხაზი გაესვას ბიზნეს სექტორთან დაბალ ურთიერთობას თვითმართველობის მხრიდან, სიახლოვეზე კი როგორც კვლევამ გვიჩენა საუბარიც კი ზედმეტია. ბიზნეს სუბიქტებმა ძირითადად არ იციან, ხოლო იმ მცირე ნაწილმა, ვინც იცის 2014–2021 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმის შესახებ, მათაც მხოლოდ ზედაპირული ინფორმაცია გააჩნიათ, რაც ნამდვილად დიდი გამოწვევაა როგორც თვითმართველობისათვის, ასევე ცენტრალური ხელისუფლებისთვის. მნიშვნელოვანია გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს ბიზნეს სუბიექტებტან ურთიერთობას, მათი ცნობიერების გაზრდას მათ სფეროსთან დაკავშირებით და რაც მთავარია, სტრატეგიული განვიტარების გეგის გაცნობ მოხდეს მათთვის.

უნდა აღინიშნოს გამოვლენილი პრობლემებიდან და იმ რეკომენდა–ციების პაკეტებიდან, რაც კვლევის შედეგად იქნა შემუშავებული, გამოირჩა ოთხი ძირითადი პრობლემა ადვოკატირებისათვის:

- ✓ საერთო კრების ჩატარება
- ✓ მრჩეველთა საბჭოს შექმნა
- ✓ მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდზე კალენდარში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ასახვა.
- ✓ მონაცემთა ბაზის შექმნა, მუნიციპალიტეტთან სიახლოვით დაინტერესებული მოქალაქეებისა.

შედარებითი ანალიზი

შედარებითი ანალიზი ასახავს ორ ან რამოდენიმე კვლევას შორის მონაცემების შედარებას. აღნიშნულ ქვეთავში წარმოჩენილი იქნება გორის მუნიციპალიტეტში ჩვენი ორგანიზაციის – ,,ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება"–ს და საზოგადოება ,,ბილიკის" მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შეჯამება ,,თვითმართველობის საზოგადოების სიახლოვის მონიტორინგთან". უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე კვლევები დოკუმენტში განხილულ კვლევებთან მიმართებაში არ წარმოადგენს ზუსტ დამთხვევას, არც საკვლევი თემებისა და არც მიზანს შორის. მაგრამ ყველა კვლევას ჰქონდა საერთო შეხების წერტილი ერთმანეთთან. რაოდენობრივი კვლევების შემთხვევაში ეს იყო ინტერნეტ მედიის მოხმარება და მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის ცოდნა, ხოლო თვისებრივი კვლევების შემთხვევაში გვაქვს ქალაქში არსებულ ძირითად პრობლემებზე, საზოგადოებასთან სიახლოვის პრობლემებსა და ინტერნეტ მედიის ათვისების შესახებ კვლევის შედეგებზე ინფორმაცია. განვიხილოთ თანმიმდევრულად და შევადაროთ ერთმანეთს.

გორის მუნიციპალიტეტში გასულ წლებში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევები შეეხებოდა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას. შესაბამისად შედარება მოხდება მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის პასუხებს შორის. ,,თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვე"–ის კვლევის ანალიზისას მიღებული მონაცემები დაიყო ქალაქის და სოფლის პასუხების მიხედვით, აღნიშნულმა გაფილტვრამ მგვცა საშუალება მაქსიმალური სიზუსტით შეგვედარებინა 2018[22] წელს ჩატარებული კვლევის გარკვეული მონაცემები 2015 და 2016[23] წელს ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევებთან. საერთო გადაკვეთის წერტილი სამივე კვლევას გააჩნია მუნიციპალურ პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის ქონაზე, სადაც გასული წლების სტატიტიკა პირველი კვლევის შემთხვევაში არის 12%, ხოლო მეორე შემთხვევაში – 13%, თუმცა ახალმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს ცოდნა 51%–ს აღწევს. აღნიშნულის გაუმჯობესება გამოწვეულია რეგიონალური

[22] იგულისხმება – ,,თვითმართველობის საზოგადოებასთან სიახლოვის მონიტორინგი"

[23] იგულისხმება – 2015 და 2016 წელს ჩატარებული კვლევები,,გორის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტები"

მედიისა და ინტერნეტ მედიის როლის გაზრდით მოსახლეობაში, რაც დადასტურდა 2018 წელს ჩატარებული ფოკუს ინტერვიუებიდან, სადაც მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე მედია პლატფორმების გამოყენებით ბევრად გაზრდილია გასულ წლებთან შედარებით, რაც ფოკუს ჯგუფის ანალიზში ნათლად ფიქსირდება. აქვე უნდა აღინიშნოს 2016 წელს ჩატარებულ კვლევაში მუნიციპალიტეტის შესახებ ინტერნეტ მედიის გამოყენებაზე დასმული შეკითხვის მაჩვენებელი, სადაც მაშინდელი ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 20% იყენებდა ინტერნეტს, 2018 წლის კვლევაში კი აღნიშნული მაჩვენებელი 25%–ს აჭარბებს. თუმცა ინფორმაციის მიღებით კმაყოფილება თითქმის ერთნაირი მაჩვენებლით არის შეფასებული და ძირითადად უკმაყოფილონი არიან, ხოლო უკმაყოფილობის მიზეზი ახსნილია 2018 წლის კვლევების ანალიზში. მართალია საკვლევ თემებს არ ეხება, თუმცა საინტერესო შესადარებელია დასაქმებულობის სტატუსი მუნიციპალიტეტში, სადაც გასული წლის კვლევებში ფიქსირდება 2015 წელს 58% და 2016 წელს 57%, ხოლო 2018 წლის კვლევაში 53%. მნიშვნელოვანი შემცირება შეინიშნება შემოსავლებში, შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი საკმაოდ შემცირებულია მოსახლეობაში, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა შეიმჩნევა მუნიციპალიტეტში.

თვისებრივ კვლევას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში კვლავ რჩება მთავარ გამოწვევად მიუსაფარი ცხოველების პრობლემა. მართალია ეს თემა არ ყოფილა საკვლევი თემა 2018 წლის კვლევისა, თუმცა ის თავისთავად ამოვიდა ფოკუს ჯგუფებში ინტერვიუს განმავლობაში და ნამდვილად ვერ ავუვლით გვერდს. ასევე ფოკუს ჯგუფებისას 2018 წლის კვლევებმა გვიჩვენა, რომ კვლავ პრობლემად რჩება ფიზიკური სიახლოვე საზოგადოებასთან თვითმართველობის მხრიდან და ინფორმაციის გავრცელება მოსახლეობაში. მართალია 2018 წლის ფოკუს ჯგუფმა გვიჩვენა, რომ ამ მხრივ აშკარა პროგრესი არსებობს 2015 და 2016 წლის ფოკუს კვლევებთან შედარებით, მაგრამ მაინც არ არის პრობლემა აღმოფხვრილი, კვლავ შესამჩნევია მედიის სუბიექტურობა და ინფორმაციის დაგვიანებით გაშუქება. თუმცა შეინიშნება პროგრესი ინტერნეტ მედიის მომხმარებლებთან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ინტერნეტ პლატფორმის

გამოყენებთ თვითმართველობა გაცილებით სწრაფად და ობიექტურად ავრცელებს ინორმაციას, ვიდრე მედია საშუალებებით, ხოლო აღნიშნული 2016 წლის ფოკუს ჯგუფებზე ძირითადად უარყოფითი შეფასებით სარგებლობდა და რესპონდენტები ინფორმაციის დაგვიანებით გავრცელებაზე საუბრობდნენ. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფის რეკომენდაციებს, უცვლელად წითელ ხაზად გასდევს ყოველ წელს ჩატარებული კვლევების რეკომენდაციებს მიუსაფარი ცხოველების პრობლემის მოგვარება, საბავშვო მოედნებისა და სკვერების მოწყობა იმ ადგილებში სადაც არ არის და ასევე ფიზიკური სიახლოვის გაზრდა მოსახლეობასა და თვითმართველობას შორის.

შედარებითმა ანალიზმა არ მოგვცა საშუალება გაცილებით ფართო შედარებების გაკეთების რადგან ყველა კვლევა შეეხებოდა სხვადასხვა საკითხებს და მათ შორის მხოლოდ რამოდენიმე გადამკვეთი წერტილის მოძებნა იყო შესაძლებელი. თუმცა 2018 წლის კვლევა, როგორც საბაზისო კვლევა საკმაოდ გამოსაყენებელია თემით დაინტერესებული მოქალაქეებისა და ექსპერტებისთვის, რადგან საკმაოდ ფართედ არის შესწავლილი საბაზისო მაჩვენებელი საზოგადოებასთან სიახლოვისა და ამ მხრივ ყველა საჭირო კვლევასთან თუ საკითხთან ექნება გადამკვეთი წერტილი. თავისთავად ეს ამ კვლევის შედეგების სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს და შესაძლებელს ხდის მუდმივად გამოვიყენოთ აღნიშნული კვლევა სხვა კვლევის შედეგებთან შედარებისას.

კვლევის ვალიდობა

კვლევის ვალიდობა არის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი სოციოლოგიური კვლევის განხორციელებისთვის. არ და ვერ ჩატარდება სოციოლოგიური კვლევა, რომელსაც არ ექნება რაიმე სახის რისკი/პრობლემა. თუმცა კვლევისას დაშვებული რისკი/ცდომილობა უნდა იყოს გონივრული და რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში არ უნდა სცდებოდეს 5%–ს, ხოლო თვისებრივი კვლევის შემთხვევაში ასე ზუსტი გამომხატველობა ცდომილობის არ არსებობს და საშუალოდ მისი სანდოობა მერყეობს 60–80%–ს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე კვლევისას გამოყენებულ იქნა შერეული კვლევის დიზაინი, მნიშვნელოვნად დაგვეხმარა მეთოდოლოგიისა და საკვლევი ინსტრუმენტების საფუძვლიანად დახვეწაში.

როგორც კვლევის დიზაინშია აღნიშნული, გამოყენებული იქნება ხუთი სახის კვლევის მეთოდი – დოკუმენტის შესწავლის, სიღრმისეული ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფის, ინტერვიუ–ანკეტირების და შედარებითი ანალიზის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კვლევის გარე ვალიდობა, ვიცოდეთ თუ რამდენად არის განზოგადებადი მიღებული კვლევის მონაცემები ფართო პოპულაციაზე, როგორ შეგვიძლია მისი განზოგადება და რა ეტაპებია ამისთვის გასავლელი, ასევე მნიშვნელოვანია შიდა ვალიდობის თავიდანვე სწორად განსაზღვრა, რაც გულისხმობს ცოდნას იმისას, რომ ვიცოდეთ ერთი ცვლადი რა გავლენას ახდენს მეორე ცვლადზე და რაიმე ცვლილება ხომ არ არის გამოწვეული დამოკიდებულ ცვლადზე სხვა გარე ცვლადის საშუალებით. მაგალითად ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური შეხედულებები, პარტიულობა, ნათესაური კავშირი თვითმართველობის წევრთან, ან ,,მტრული“ დამოკიდებულება ზემოთ ხსენებულ ყველა კომპონენტთან. მნიშვნელოვანია ინტერვიუერმა მოახერხოს სიღრმისეულ და ინტერვიუ–ანკეტირებისას რესპონდენტის ობიექტურობის შენარჩუნება. კონსტრუქტის ვალიდობას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ სწორად უნდა მოხდეს კვლევაში ტერმინებისა და ცნებების განმარტება, რათა არც რესპონდენტს და არც მკითხველს არ გაუჩნდეს გაუგებრობა რაიმე საკითხთან მიმართებაში. კონსტრუქტის ვალიდობა პასუხისმგებელია კონსტრუქტის ოპერაციონალიზაციაზე. ერთ–ერთ მთავარ ვალიდობას რაც შეეხება, ეს არის დასკვნების ვალიდობის

სისწორე, რაც არის ცოცხალი ჯაჭვის შემადგენელი ელემენტი და მისი საშუალებით ხდება სწორად დაკავშირება იმ ცნებებსა და ცვლადებს შორის, რაც მოგვცემს სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას. კვლევისას შესაძლოა სხვა ფაქტორებს და სხვა სახის ვალიდობებსაც გადავაწყდეთ, მაგრამ ძირითადად რისი განსაზღვრაც არის შესაძლებელი კვლევის დაგეგმარების ეტაპზე, ეს გახლავთ ეს ოთხი ძირითადი სახის ვალიდობა – შიდა, გარე, კონსტრუქტის და დასკვნების ვალიდობა, რაც არის ერთი მთლიანი რგოლი და არა რაიმე ცალ–ცალკე გამოყოფილი ეტაპები.

კვლევისას გასათვალისწინებელია ადამიანური რესურსით გამოწვეული რისკები, რაც მდგომარეობს ინტერვიუერის სუბიექტურობასა და დამოკიდებულებაში. მნიშვნელოვანია წინასწარ იყოს ინტერვიუერი ინფორმირებული საკვლევ საკითხთან მიმართებაში არსებულ ინფორმაციაზე, რაც გამოსადეგია მისთვის კვლევის განმავლობაში. გასათვალისწინებელია ფინანსური სიმწირის ფაქტორი. ეს შეიძლება გახდეს გულგრილი დამოკიდებულების მიზეზი ინჯტერვიუერის მხრიდან და არ მოხდეს ჩაკითხვა, უკეთ განმარტება რაიმე საკითხის, გამეორება შეკითხვის ან სხვა სახის მოვალეობის შესრულება საველე სამუშაოებისას, რაც თავისთავად წარმოადგენს რისკს და მოქმედებს კვლევის ვალიდობაზე.

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ვალიდობა – სანდოობა

ინტერვიუ – გასაუბრების პროცესი კითხვა პასუხის რეჟიმში, როდესაც რეგლამენტი და შეკითხვები წინასწარაა განსაზღვრული.

ღია შეკითხვა – შეკითხვა, რომელსაც არ აქვს პასუხების ჩამონათვალი.

დახურული შეკითხვა – შეკითხვა რომელსაც აქვს პასუხების ჩამონათვალი

ნახევრად ღია/დახურული შეკითხვა – შეკითხვა, რომელსაც აქვს როგორც პასუხების ცამონათვალი, ასევე ჩაწერის საშუალებაც.

თვისებრივი კვლევა – კვლევა, რომელიც შეისწავლის მოვლენის თვისებას და მის გამომწვევ მიზეზებს.

რაოდენობრივი კვლევა – კვლევა, რომლის დროსაც შესაძლებელია მონაცემთა დათვლა

გენერალური ერთობლიობა – საკვლევი ინდივიდების ერთობლიობა

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს თვითმართველობის კოდექსი
2. რაოდენობრივი კვლევა – 2016 წლის ქ.გორის საბიუჯეტო პრიორიტეტები, გორი 2015 წ.
3. რაოდენობრივი კვლევა – 2017 წლის ქ.გორის საბიუჯეტო პრიორიტეტები, გორი 2016 წ.
4. თვისებრივი კვლევა – მუნიციპალიტეტი on-line სივრცეში, გორი 2016წ.
5. ადგილობრივ თვითმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო .
6. ექსპერტული კვლევა – საჭიროების მონაწილეობითი ანალიზი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ, თბილისი 2016 წ.

❖ **ინტერნეტ რესურსი:**

- www.matsne.gov.ge
- www.nplg.gov.ge
- www.css.ge

დანართი №1

რაოდენობრივი კვლევის დიაგრამების დანართი №!

დიაგრამა №1



დიაგრამა №2

დიაგრამა №3



დიაგრამა №4



დიაგრამა №5

დიაგრამა №6



დიაგრამა №7



დიაგრამა №8



დიაგრამა №9



დიაგრამა №11



დიაგრამა №12



დიაგრამა №13



დიაგრამა №14



დიაგრამა №15



დიაგრამა №16



დიაგრამა №17



დიაგრამა №18



დიაგრამა №19



დიაგრამა №20



დიაგრამა №21



დიაგრამა №22



დიაგრამა №23



დიაგრამა №24



დიაგრამა №25



დიაგრამა №26



დიაგრამა №27



დიაგრამა №28



დიაგრამა №29



დიაგრამა №30



დიაგრამა №31



დიაგრამა №32

	ასაკი	
საშუალო		46.3701
მედიანა		47.0000
მოდა		48.00
სტანდარტული გადახრა		14.34888

დიაგრამა №33



დიაგრამა №34



დიაგრამა №35



დიაგრამა №36



დიაგრამა №37



დიაგრამა №38



შედარებითი ანალიზის დიაგრამები
ქალაქი – სოფელი

დიაგრამა №39



დიაგრამა №40



დიაგრამა №41



დიაგრამა №42



დიაგრამა №43



დიაგრამა №44



დიაგრამა №45



დიაგრამა №46



დიაგრამა №47



დიაგრამა №48



დიაგრამა №49



დიაგრამა №50



დიაგრამა №51



დიაგრამა №52



დიაგრამა №53



დიაგრამა №54



დიაგრამა №55



გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0179, ა. პოლიტკოვსკაიას №4. 19, : 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com